



გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

17 მაისი, 2017 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - ლია ავალიშვილი
სხდომის მდივანი - თათია ზირაქაშვილი

მოსარჩელე - შპს „თ.ჯ. თრეიდი“

წარმომადგენელი - ანდრო კიკნაველიძე, დავით მეცხოვრიშვილი, დავით აბრამაშვილი

მოპასუხე - ბადრი წილოსანი

წარმომადგენელი - პაატა ლობჯანიძე, დავით სამხარაშვილი

დავის საგანი - აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, აქციების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა:

1.1. 2008 წლის 17 სექტემბრის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სადავო აქციების აღრიცხვა მოსარჩელე შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სახელზე.

სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2001 წლის 02 მაისს რეგისტრაციაში გატარდა, შპს „თ. ჯ. თრეიდი“, რომლის დამფუძნებლები 50-50%-იანი წილებით იყვნენ ნანა რუსიშვილი და ქეთევან ცინცაბაძე. ამავე თარიღიდან საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო ერთ-ერთი დამფუძნებლის - ნანა რუსიშვილის მეუღლე - ავთანდილ საყვარელიძე, რომელიც უშუალო მონაწილეობას იღებდა საწარმოს მართვაში.

2005 წლის 28 ივნისს, „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩატარებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად, შპს „თ. ჯ.

თრეიდმა“ პირდაპირი მიყიდვის წესით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსგან 6 000 000 აშშ დოლარად შეიძინა სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ 3 550 445 ცალი აქცია, რომელიც შეადგენდა აქციათა მთლიანი ოდენობის 51.635%. აქციათა დარჩენილი ნაწილი საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ამავე ქარხნის თანამშრომლებს, მათ შორის დაახლოებით 47% ეკუთვნოდა მოპასუხე ბადრი წილოსანს. 2006 წლის 25 იანვრიდან სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ავთანდილ საყვარელიძე.

2008 წლის 17 სექტემბერს ფინანსური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და სხვა პარტნიორებზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად, შპს „თ.ჯ. თრეიდმა“ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ აქციები საკუთრებაში გადასცა ამავე საზოგადოების მეორე პარტნიორ - ბადრი წილოსანს.

სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ ძირითადი საქმიანობა იყო ელექტროვაგონების შეკეთება და მშენებლობა, შესაბამისად, მისი უმთავრესი დამკვეთი იყო სახელმწიფო საწარმო - შპს „საქართველოს რკინიგზა“, რომელთანაც 2007 წლიდან გართულდა ურთიერთობა. ურთიერთობის გართულების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ განზრახ თავს არიდებდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას, არ ახდენდა სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ მიერ შესრულებული სამუშაოს დადასტურებას, უარს ამბობდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდაზე, რითაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აყენებდა კომპანიას.

სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ მიერ აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნით, არაერთხელ მიმართეს შპს „საქართველოს რკინიგზას“, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს, თუმცა უშედეგოდ. სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ იძულებული გახდა მიემართა სასამართლოსთვის შპს „საქართველოს რკინიგზის“ წინააღმდეგ 14 000 000 ლარის სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მოთხოვნით. თუმცა სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ ადვოკატს გიორგი ყავლაშვილს დაუკავშირდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის წარმომადგენელი და კატეგორიულად მოსთხოვა სარჩელის უკან გამოხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა შპს „თ.ჯ. თრეიდის“ დირექტორის - დავით აბრამაშვილის (რომელიც იმ მომენტისთვის ფინანსური პოლიციის შენობაში იმყოფებოდა) შპს „თ.ჯ. თრეიდისა“ და სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ავთანდილ საყვარელიძის, ასევე ქარხნის დირექტორის - მირიან დეკანოიძის დაპატიმრებით.

ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის ფაქტზე მიუთითებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სარჩელის გამოხმობის შესახებ განცხადება სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ დირექტორის - მირიან დეკანოიძის სახელითა

და ხელმოწერით სასამართლოში შევიდა 2007 წლის 11 დეკემბერს, მაშინ როდესაც მირიან დეკანოიძე ამ დღეს საქართველოში არ იმყოფებოდა.

სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირების მხრიდან ზეწოლის პარალელურად, ამავე ზეწოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის 11 აპრილს შედგა სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ პრივატიზაციის საკითხების სისწორის შესახებ და 12 აპრილს საგადასახადო შემოწმების აქტები (მოიცავდა 2003 წლის 01 იანვრიდან 2006 წლის 01 იანვრამდე საანგარიშო პერიოდს), ასევე არსებობდა 2008 წლის 09 იანვრის ფინანსური პოლიციის მიერ შედგენილი შემოწმების აქტი (მოიცავდა 2005 წლის 01 იანვრიდან 2007 წლის 01 ნოემბრამდე საანგარიშო პერიოდს), ფინანსურმა პოლიციამ კვლავ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით „შემოწმების“ მიზნით, 2004-2007 წლების საანგარიშო პერიოდში, კომპანიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის დედნების, ასევე კომპიუტერების პროცესორებისა და სხვა დოკუმენტების ამოღების მოთხოვნით, რაც მიმართული იყო კომპანიის ფუნქციონირების შეფერხებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის დამძიმებისკენ.

2008 წლის 08 სექტემბრიდან ნათელი გახდა შპს „საქართველოს რკინიგზის“, საქართველოს ფინანსური პოლიციის წარმომადგენელთა და სხვა თანამდებობის პირთა მიერ განხორციელებულ მოქმედებათა მიზანი. შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის - ნანა რუსიშვილის მეუღლეს - ავთანდილ საყვარელიძეს, რომელიც იმავდროულად იყო სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ და შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის - დავით კეზერაშვილის სახელით დაუკავშირდნენ ფინანსური პოლიციის უფროსი დავით ქარსელაძე, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გიორგი არველაძე და იოსებ მგელაძე (რომლის განცხადებით იგი იყო დავით კეზერაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი) და მოითხოვეს სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ აქციათა გადაფორმება საზოგადოების მეორე აქციონერის (დავით კეზერაშვილის მეგობრის - ირაკლი წილოსანის მამა) ბადრი წილოსანისთვის. აღნიშნულ მოთხოვნაზე ავთანდილ საყვარელიძემ უარი განაცხადა.

ავთანდილ საყვარელიძის მიერ გაცხადებულ უარს შედეგად მოჰყვა ტერორი, სისტემატური დაბარება ფინანსურ პოლიციაში, დაპატიმრებისა და ფიზიკური ლიკვიდაციის მუქარები. ძალადობა ხორციელდებოდა როგორც წესი, დავით ქარსელაძის კაბინეტში, მისი მოადგილის - ვეფხია კობიაშვილის მონაწილეობით და ამ პროცესებს, როგორც კურატორი, ყოველთვის ესწრებოდა ბადრი წილოსანი, რომელიც კეზერაშვილთან შეთანხმებით „აკონტროლებდა“ თუ როგორ სრულდებოდა მისი დავალებები. ამ გაუთავებელი ზეწოლის და მუქარის ფონზე, საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლის გადასარჩენად კომპანია შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე იძულებული გახდა მისი მეუღლისა და შპს „თ.ჯ. თრეიდის“ მეორე პარტნიორის სახელით დათანხმებოდა აქციების გადაფორმებას ბადრი წილოსანისთვის.

ზემოაღნიშნულ მოვლენებამდე, ოფშორულ კომპანია „Chemexim International LTD“-ს წარმომადგენელს საქართველოში - ვახტანგ ჭეიშვილს, გარკვეული ინვესტიციის, უფრო ზუსტად - სესხის სანაცვლოდ გადაეცა ქარხნის 25.8% იმ პირობით, რომ თანხის დაბრუნების შემდეგ აღნიშნული აქციები ისევ უნდა დაბრუნებოდა მესაკუთრეს - შპს „თ.ჯ. თრეიდს“. 2008 წლის სექტემბრისთვის შპს „თ.ჯ. თრეიდს“ Chemexim International LTD“-ს წარმომადგენლის მიმართ უკვე შესრულებული ჰქონდა ნაკისრი ვალდებულება, შესაბამისად, მსესხებელი ვალდებულები იყო დაებრუნებინა მისთვის დროებით საკუთრებაში გადაცემული ქარხნის აქციები, თუმცა ეს პროცესი ობიექტური მიზეზების გამო დროში გაიწელა და შესაბამისად მოცემული მომენტისთვის აქციების მესაკუთრედ, რეესტრში რეგისტრირებული იყო კომპანია Chemexim International LTD“-ს წარმომადგენელი ვახტანგ ჭეიშვილი.

2008 წლის 17 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს 8 საათისთვის, ფინანსური პოლიციის შეიარაღებულმა, ნიღბიანმა თანამშრომლებმა ავთანდილ საყვარელიძე და სს „ელექტროვაგონშემკვეთებელი ქარხნის“ იურიდიული სამსახურის უფროსი ბადრი ნიაური მიიყვანეს ნოტარიუს ა.ზოიძის სანოტარო ბიუროში, სადაც უკვე იმყოფებოდნენ ბადრი წილოსანი, აქციათა რეგისტრატორი თეიმურაზ მორჩილაძე და რამდენიმე შეიარაღებული პირი. ქარხნის აქციათა დაახლოებით 25.8 % ჯერ კიდევ ირიცხებოდა ოფშორული კომპანია Chemexim International LTD“-ს წარმომადგენლის სახელზე. ფორმალური თვალსაზრისით აუცილებელი იყო ვახტანგ ჭეიშვილის ხელმოწერა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. დაახლოებით 22:00 საათიდან 23:00 საათამდე პერიოდში, სანოტარო ბიუროში, მოიყვანეს ბორკილებდადებული პიროვნება, რომელიც იყო ვახტანგ ჭეიშვილი. როგორც გაირკვა, იგი თავისი სურვილით არ აპირებდა ნოტარიუსთან მისვლას. ამიტომ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები მიუცვივდნენ საცხოვრებელ ბინაში, ძალის გამოყენებით წამოიყვანეს და აიძულეს ხელი მოეწერა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. ვ. ჭეიშვილის მიერ, გარიგებაზე ხელმოწერის შემდეგ, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ვ. ჭეიშვილი იგივე მეთოდით გაიყვანეს სანოტარო ბიუროდან.

2008 წლის 17 სექტემბერს ძალადობრივი მოქმედებების შედეგად გაფორმდა სს „ელექტროვაგონშემკვეთებელი ქარხნის“ აქციების ნასყიდობის შესახებ ორი ხელშეკრულება - შპს „თ.ჯ. თრეიდის“, ვახტანგ ჭეიშვილსა და ბადრი წილოსანს შორის.

2008 წლის 17 სექტემბერს, ძალადობრივი გზით საზოგადოების აქციების გასხვისების შემდეგ, მალევე ავთანდილ საყვარელიძე საქმიანი ვიზიტით გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც მას ტელეფონით დაუკავშირდა ფინანსური პოლიციის მაშინდელი უფროსი დავით ქარსელაძე, მოსთხოვა საქართველოში დაბრუნება და დაბრუნებისთანავე ფინანსურ პოლიციაში გამოცხადება, ვინაიდან მისი განმარტებით, „კიდევ რაღაცეები იყო დასასრულებელი“. ავთანდილ საყვარელიძე საქართველოში აღარ დაბრუნებულა. ამის გამო, 2008 წლის 06 ნოემბრის სასამართლო დადგენილებით, ავთანდილ საყვარელიძე აბსურდული ბრალდებით, მიეცა პასუხისგებაში, ყადაღა დაედო მის სახელზე რეგისტრირებულ ქონებას. ბრალის წაყენების შემდეგ, 2008 წლის 28 ნოემბერს ავთანდილ საყვარელიძემ ავსტრიაში მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი.

აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი. ავთანდილ საყვარელიძის მიმართ ბრალდების უსაფუძვლობას და მასთან დაკავშირებული პირების მიმართ იძულების ფაქტს, გარდა ზემოაღნიშნული გარემოებებისა, ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი სისხლის სამართლის მასალები, ასევე ადვოკატ მაქსიმილან შლუდერმანის ხელმოწერილი აფიდავიტი (წერილობითი ჩვენება), ა. საყვარელიძისთვის თავშესაფრის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება და თავშესაფრის მინიჭების შესახებ საკითხის გადაწყვეტის პროცესში ავთანდილ საყვარელიძის დაკითხვის ოქმები. ბრალის აბსურდულობაზე მიუთითებს ასევე ის გარემოებაც, რომ ბრალის წაყენებიდან 2013 წლამდე (მის ქვეყანაში დაბრუნებამდე და მის შემდეგაც) პროკურატურის მხრიდან, არ მომხდარა არც ერთი საგამომიებო მოქმედების ჩატარება და არც ამ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში.

სადავო ხელშეკრულება გაფორმდა ფორსირებულ რეჟიმში, სამუშაო საათების შემდეგ. ხელშეკრულების ხელმოწერა მიმდინარეობდა მაღალი წარმომადგენლობისა და უამრავი „გულშემატკივრის“ თანდასწრებით, რომელთაგან უმეტესი ნაწილი სანოტარო ბიუროს გარეთ იმყოფებოდა.

გარდა ამ გარემოებებისა, ასევე აღსანიშნავია 2008 წლის 23 ნოემბრის ფაქტი, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ თანამშრომლებთან ვიზიტისას დააფიქსირა, რომ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ მიერ ქარხნის აქციების დათმობა განხორციელდა მთავრობის ჩარევის შედეგად.

(იხ. სარჩელი ტომი I, ს.გ. 187-207, დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა ტომი III, ს.გ. 32, მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტება, სასამართლო სხდომის ოქმების აუდიო ჩანაწერები).

2. მოპასუხის პოზიცია:

2.1. ბადრი წილოსანმა სარჩელი არ ცნო დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

მაღაღობის ფაქტს ვერ ადასტურებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ყველაფერი დამყარებულია მხოლოდ მოსარჩელის მოწმეთა ჩვენებებზე, რომლებიც განაწყენებული და დაინტერესებული პირები არიან. მოწმეები ზეპირსიტყვიერი განცხადებების საფუძველზე იძლეოდნენ ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვენებებს. მოსარჩელის მოწმეების საწინააღმდეგო ჩვენება მისცა ნოტარიუსმა ა.ზოიძემ და მოპასუხის სხვა მოწმეებმა.

მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა ქარხნის ძირითად დამკვეთად სს „საქართველოს რკინიგზის“ არსებობას. სს „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, შპს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ მიერ შესრულებული სამუშაოს მიუღებლობას, მოსარჩელე ადასტურებს სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს ოქმითა და ამავე კომპანიის მიერ შპს „საქართველოს

რკინიგზაში” გაგზავნილი სხვადასხვა წერილებით. სამეთვალყურეო საბჭოს ოქმით დასტურდება მხოლოდ ისეთი ტექნიკური საკითხები, როგორცაა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა, კომპანიის დირექტორის დანიშვნა და სხვა. რაც შეეხება წერილებს, მათი გარკვეული ნაწილი ე.წ. „ჩინურ პროექტს“ ეხება, ნაწილი თანხების ჩარიცხვას. გარდა ამისა, წერილები არის ცალმხრივი და არც ერთი წერილი არ არის წარმოდგენილი სს „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან. შესაბამისად, ცალმხრივი წერილებით არ დასტურდება, სს „ელექტროვაგონშემკვეთელი ქარხნის“ მიმართ სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი.

მოსარჩელე არასრულად წარმოაჩენს ფაქტებს. მოსარჩელის მიერ სარჩელის სასამართლოში შეტანა მოხდა შპს „საქართველოს რკინიგზისა“ და სს „თიბისი ბანკის“ მიმართ. მოსარჩელე აშკარად უთითებს სისხლის სამართლის ნიშნებზე, რომელიც გულისხმობს იძულების/მუქარის გზით პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელებას. თუ აღნიშნულ ქმედებას ადგილი ჰქონდა ქარხნის ადვოკატ გიორგი ყავლაშვილის მიმართ, მაშინ ადვოკატს თავის დროზე უნდა მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისთვის. არარეალურია ის გარემოება, რომ ადვოკატის მიმართ განხორციელებული მუქარა დავით აბრამაშვილის, ავთანდილ საყვარელიძისა და მირიან დეკანოიძის დაპატიმრების თაობაზე, იმდენად სერიოზულად იქნა აღქმული, რომ მაშინვე მოხდა სარჩელის გამოხმობა.

მირიან დეკანოიძის საქართველოში 2007 წლის 11 დეკემბერს არყოფნის ფაქტთან დაკავშირებით, მოსარჩელის ირიბი მითითებით, განცხადებაზე სარჩელის გამოხმობის შესახებ მოხდა ხელმოწერის გაყალბება, რომელიც ცალსახად სისხლის სამართლის დანაშაულია, თუმცა აღნიშნულზე მოსარჩელეს დარღვეული უფლების აღდგენისთვის არ მიუძღმარა შესაბამისი ორგანოებისთვის. გარდა ამისა, სარჩელის გამოხმობა არ ნიშნავს მოთხოვნაზე უარის თქმას. მოსარჩელეს შეეძლო მოგვიანებით ხელახლა სასარჩელო განცხადებით მიემართა სასამართლოსთვის, თუმცა მან ეს უფლებაც არ გამოიყენა.

კომპეტენტური ორგანოს მიერ კომპანიის კანონიერი გზით შემოწმების ფაქტი, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ზეწოლად. რაც შეეხება თვითონ შემოწმების ფაქტის დამადასტურებელ აქტებს, აქტებში საუბარია საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსა და ბადრი წილოსანს შორის 2002 წლის 13 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძვლებზე და მათში იძულების ნიშნები არ იკვეთება.

ავთანდილ საყვარელიძის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის საკითხი კავშირში არ არის მოცემული დავის ფარგლებთან. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებაზე საერთოდ არ უნდა იქნეს სასამართლოს ყურადღება მიქცეული. მოსარჩელის პოზიცია არალოგიკურია, რადგან თუ სამართალდამცავი ორგანოები აპირებდნენ ავთანდილ საყვარელიძის დაკავებას, რატომ დაურეკავდნენ მას ამის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, ან რატომ უნდა დასჭირვებოდა ვინმეს სარჩელში დასახელებული მიზეზით ავთანდილ საყვარელიძის დაკავება, თუ მას არავითარი თანამდებობა არ ეკავა

შპს „თ.ჯ. თრეიდი“ და წილების გადაფორმება მისი საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდისთვის უკვე განხორციელებული იყო.

სარჩელი წარმოადგენს მცდელობას შეაკავოს მოპასუხის მხრიდან გატარებული სამართლებრივი ქმედებები. ბადრი წილოსანის მიერ 2008 წლის 17 სექტემბერს აქციების პაკეტის შეძენის შემდეგ, დეტალურად იქნა შესწავლილი სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში“ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ მმართველობის პერიოდი, გამოვლინდა უამრავი ფაქტი, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებით, რაშიც მოიაზრება გაურკვეველი ოფშორული კომპანიის წარმომადგენლებისათვის მილიონობით ლარის ხელზე გადაცემა. შპს „თ.ჯ. თრეიდს“ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ მიმართ დაუგროვდა 28 000 000 ლარი დავალიანება, რაც აღიარა კიდევ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ხელმძღვანელობამ შესაბამის აქტზე ხელმოწერით და რაც დღემდე აღუსრულებელია, ამ უკანასკნელს ქონება არ გააჩნია. შესაბამისად, ბადრი წილოსანს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა, რომ მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისთვის აღნიშნული ფაქტების გამოძიების მოთხოვნით.

შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ქარხანაში მმართველობის პერიოდში ადგილი ჰქონდა უამრავ ისეთ ფაქტს, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა ქარხნისთვის განზრახ სერიოზული ფინანსური ზიანის მიყენების ფაქტზე. ამ პერიოდში ქარხნის მიერ საქართველოში არსებული თითქმის ყველა ბანკიდან აღებულ იქნა რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის კრედიტი, რომელთა დასაფარად არათუ არავითარ ღონისძიებას არ ატარებდა ქარხნის მაშინდელი ხელმძღვანელობა, არამედ ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც ბანკები აგზავნიდნენ მიმდინარე პროცენტზე მოთხოვნის წერილებს და ემუქრებოდნენ სასამართლოსთვის მიმართვით, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სალაროდან გატანილ იქნა 6 000 000 ლარზე მეტი ოდენობის თანხა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ იძულებული გახდა მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა შპს „თ.ჯ. თრეიდისათვის“ 28 000 000 ლარის დაკისრება, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ 2013 წელს შემოწმდა სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“, რის საფუძველზეც სწორედ იმ პერიოდზე არსებულ ფინანსური ტრანზაქციებისთვის, რომლის დროსაც ქარხანას მართავდა შპს „თ.ჯ. თრეიდი“, დაჯარიმდა 9 მილიონ ლარზე მეტი.

2006-2008 წლებში სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ ვერ უზრუნველყოფდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა სრულად იღებდა კონტრაგენტისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების სანაცვლო ანაზღაურებას. აღნიშნულზე მიუთითებს თავად სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ 2006 წლის 07 თებერვლის, 2007 წლის 05 აპრილის, 2007 წლის 10 სექტემბრის და 2007 წლის 11 სექტემბრის წერილები, სადაც ქარხნის ხელმძღვანელობა პირდაპირ აღიარებს

საწარმოს ბრალეულობით შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტს. ანალოგიური ასევე დასტურდება სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნისა“ და შპს „საქართველოს რკინიგზის“ 2008 წლის 29 აპრილის შეთანხმებით.

2006-2008 წლებში შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ დადებული თითქმის ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებდა საავანსო ანგარიშსწორებას, ხოლო ქარხნის მხრიდან შესაბამისი შესრულების არსებობის შემთხვევაში საწარმო სრულად იღებდა გაწეული მომსახურების ღირებულებას. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ გაგზავნილ მოთხოვნის წერილებზე საწარმოს მიღებული აქვს შესაბამისი ანაზღაურება და საუბარი შპს „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან საწარმოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ განზრახ ქმედებებზე უსაფუძვლოა.

ის ფაქტი, რომ გამყიდველმა გადაიხადა ნასყიდობის თანხა, გამორიცხავს იძულების ფაქტს. ამასთან, გადახდილი ნასყიდობის ფასი სრულად შეესაბამებოდა იმ დროისათვის ქარხნის აქციების საბაზრო ღირებულებას.

მოპასუხის განმარტებით, სარჩელი ხანდაზმულია, რადგან თუ ადგილი ჰქონდა მუქარასა და იძულებას ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს სადავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების შესახებ.

(იხ. შესაგებელი ტომი II, ს.ფ. 2-17, მოპასუხე მხარის ახსნა-განმარტება, სასამართლო სხდომის ოქმების აუდიო ჩანაწერები).

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. 2001 წლის 30 აპრილს შედგა შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სადამფუძნებლო კრების ოქმი #1, რომლის თანახმად, დადგინდა საწარმოს წესდების დამტკიცება, მისი რეგისტრაციაში გატარება, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა (თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე, წევრები - ნანა რუსიშვილი, ქეთევან ცინცაბაძე).

2001 წლის 02 მაისს, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ რეგისტრირებულ იქნა კომპანია შპს „თ.ჯ. თრეიდი“. პარტნიორებს წარმოადგენდნენ ქეთევან ცინცაბაძე და ნანა რუსიშვილი, რომელთა წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენდა 50%-50%-ს.

წესდების მე-6 მუხლით განისაზღვრა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა ეკისრებოდა სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც იქმნებოდა პარტნიორების გადაწყვეტილებით. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავდა საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიას.

წესდების მე-7 მუხლის თანახმად, საზოგადოების წარმომადგენლობა ეკისრებოდა გენერალურ დირექტორს. წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა საზოგადოების მიზანი და საგანი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- შპს „თ.ჯ. თრეიდს“ სადამფუძნებლო კრების ოქმი #1 (ტომი 1, ს.ფ. 9);
- შპს „თ.ჯ. თრეიდს“ 2001 წლის 30 აპრილის წესდება (ტომი 1, ს.ფ. 10-14);
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ტომი 1, ს.ფ. 15-17);
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.2. 2005 წლის 28 ივნისს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „თ.ჯ. თრეიდს“ შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს „თ.ჯ. თრეიდს“ საკუთრებაში გადასცა, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტი (3 550 445 ცალი აქცია, რაც შეესაბამება აქციათა საერთო რაოდენობის 51.635%). გასაყიდი ღირებულება შეადგენდა 6 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, რომლიდანაც ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მყიდველმა გადაიხადა 600 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ხელშეკრულების მე-2 მუხლით განისაზღვრა მყიდველის ვალდებულებები, დაეცვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ 2005 წლის 01 აგვისტომდე გადაეხადა დარჩენილი 5 400 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2005 წლის 28 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება, რეესტრის #1-8031 (ტომი 1, ს.ფ. 18-29);
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივნისის განკარგულება #505 (ტომი 2, ს.ფ. 29);
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.3. 2007 წლის 29 ნოემბერს სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ გენერალურმა დირექტორმა მირიან დეკანოიძემ, წარმომადგენლებმა ბადრი ნიაურმა და გიორგი ყავლაშვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების შპს „საქართველოს რკინიგზისა“ და სს „თიბისი ბანკის“ მიმართ, სასარჩელო მოთხოვნებით: დაეკისროს შპს „საქართველოს რკინიგზას“ მოსარჩელის სასარგებლოდ დავალიანების 9 588 388 ლარის გადახდა; დაეკისროს შპს „საქართველოს რკინიგზას“ ქარხნისთვის მიყენებული ზიანის 2 577 162 ლარის ანაზღაურება; დაეკისროს შპს „საქართველოს რკინიგზას“ ვალდებულებების შეუსრულებლობის და არაჯეროვნად შესრულების გამო, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სასარგებლოდ, ქარხნის დავალიანების

დასაფარად აღებული კრედიტის საკრედიტო ღირებულების 190 218 ლარის გადახდა; დაევალოს შპს „საქართველოს რკინიგზას“ #618211-693942 ხელშეკრულებით მიღებული 397 117.20 ლარის და #618211-693941 ხელშეკრულებით მიღებული 1 588 468.80 ლარის, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული თანხების უკან დაბრუნება; სარჩელი სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა წარმოებაში.

2007 წლის 11 დეკემბერს, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ გენერალური დირექტორ მირიან დეკანოიძის სახელით სასამართლოს წარედგინა განცხადება შპს „საქართველოს რკინიგზისა“ და სს „თიბისი ბანკის“ მიმართ არსებული სარჩელის უკან გამოხმობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით (#2/5491-07 სამოქალაქო საქმე) სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სარჩელი შპს „საქართველოს რკინიგზისა“ და სს „თიბისი ბანკის“ მიმართ, თანხების დაკისრების და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განუხილველად იქნა დატოვებული სარჩელის გამოხმობის გამო.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სასარჩელო განცხადება (ტომი 1, ს.ფ. 65-81);
- განცხადება სარჩელის უკან გამოხმობის თაობაზე, განცხადების სარეგისტრაციო ფურცელი (ტომი 1, ს. ფ. 84-85);
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინება (ტომი 1, ს.ფ. 86-88);
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.4. 2006 წლის 11 აპრილს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის 2006 წლის 28 თებერვლის #96 ბრძანების საფუძველზე, სპეციალურ გამოკვლევათა სამმართველოს უფროსი ინსპექტორის და ინსპექტორების მიერ განხორციელდა სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში“ პრივატიზაციის საკითხების სისწორის შემოწმება, რაზეც შედგა შესაბამისი აქტი.

როგორც აქტშია მითითებული, „...“ შემოწმების პერიოდში, გამოძიების მიერ ამოღებული დოკუმენტაციით და სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ მიერ მიწოდებული წერილობითი ინფორმაციით ირკვევა, რომ დარღვეულია მყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ყოველწლიურად პროდუქციის მოცულობის 3-5%-ით ზრდის თაობაზე. აქტში ასევე მითითებულია, რომ რეალურად ზრდის ნაცვლად ადგილი ჰქონდა გამოშვებული პროდუქციის მოცულობის შემცირებას. არ შესრულდა ვალდებულება სს „ე.ვ.მ.ქ“-ში 1 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირების თაობაზე, არ მოხდა საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის და მასთან გათანაბრებული ფონდების მიმართ წარმოშობილი დავალიანების დაფარვა. საინვესტიციო პროგრამის პერიოდში არ მოხდა სამუშაო ადგილების რაოდენობრივი ზრდა. პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის ნაცვლად, შემცირებამ შეადგინა 65.7%. აღნიშნული აქტის შედგენის თარიღისათვის სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 6864317 აშშ

დოლარის ეკვივალენტს ლარებში და დაყოფილია 6864317 ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციად, რომელთაგან თითოეულის ღირებულება შეადგენს 1 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. აქედან, ბ.წილოსანის მფლობელობაშია აქციების 47,737037 ანუ 3276821 ჩვეულებრივი სახელობითი აქცია”.

2006 წლის 12 აპრილს შედგა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის აქტი, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხნაში“ 2003 წლის 01 იანვრიდან 2006 წლის 01 იანვრამდე საანგარიშო პერიოდის საფინანსო საქმიანობის შემოწმების შესახებ.

როგორც აქტშია მითითებული, „...შემოწმებით ირკვევა, რომ ბ. წილოსანმა სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ საბრუნავი სახსრებიდან პირადი საკუთრებაში არსებულ საწარმოს კაპიტალურ-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას მოახმარა 1215818.13 ლარი, ამასთან, საზოგადოებაში გასანაწილებელი მოგების არარსებობის მიუხედავად, თანხები გაცემულია (დივიდენდის სახით) 852024 ლარი. აღნიშნული ოპერაციებით სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას“ მიადგა 2067842.13 ლარის ზიანი”.

საქმეში ასევე წარმოდგენილია 2008 წლის 09 იანვრის შემოწმების აქტი, რომლის მიხედვით, სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში“ ჩატარდა დოკუმენტური რევიზია, მოიცავდა 2005 წლის 01 იანვრიდან 2007 წლის 01 ნოემბრამდე საანგარიშო პერიოდს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ განხორციელდა სასამართლოსადმი მიმართვა შუამდგომლობით „შემოწმების“ მიზნით, 2004-2007 წლების საანგარიშო პერიოდში, შპს „თ.ჯ.თრეიდიდან“ და სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანიდან“ საბუღალტრო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების დედნების, ასევე კომპიუტერების პროცესორების და სხვა დოკუმენტების ამოღების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 07 თებერვლის საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანების თანახმად, დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს გამომძიებელ ზ. ჯმუხაძის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ. აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებებში მოიაზრებოდა შპს „თ.ჯ.თრეიდიდან“ 2004-2007 წლების პერიოდის საბუღალტრო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების, კომპიუტერის პროცესორების, იურიდიული და დაბეგვრის საქმეები, 2005-2007 წლის პერიოდის დეკლარაციები, გამოწერილი და ჩათვლილი ანგარიშ-ფაქტურები, პირადი ბარათები; სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნიდან“ 2005-2007 წლების პერიოდის საბუღალტრო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის დედნების, კომპიუტერის პროცესორების და

პერსონალური კომპიუტერების ამოღება და ა.შ.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ პრივატიზაციის საკითხების სისწორის შესახებ 2006 წლის 11 აპრილის აქტი (ტომი 1, ს.ფ. 90-99);
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის 2006 წლის 12 აპრილის აქტი (ტომი 1, ს.ფ. 100-123);
- შემოსავლების სამსახურის სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის სამმართველოს 2008 წლის 09 იანვრის აქტი (ტომი 1, ს.ფ. 124-128);
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 07 თებერვლის ბრძანება საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ (ტომი 1, ს.ფ. 129-130);
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.5. 2008 წლის 17 სექტემბერს, შპს „თ.ჯ. თრეიდსა“ და ბადრი წილოსანს შორის დაიდო სანოტარო წესით დამოწმებული აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება (რეგისტრაციის# N1-1045), რომლის საფუძველზეც, გამყიდველმა შპს „თ.ჯ. თრეიდმა“ მიყიდვლს ბადრი წილოსანს მიჰყიდა, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ აქციები. ნასყიდობის საგანი იყო 1 775 223 აქცია, რაც შეადგენდა აქციათა საერთო რაოდენობის 25.817895%-ს. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება იყო 1 აშშ დოლარი, სულ ნასყიდობის საგნის - 1 775 223 აქციის ნომინალური ღირებულება იყო 1 775 223 აშშ დოლარი.

ნასყიდობის საგანი პირობადებული საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა გამყიდველს. ნასყიდობის საგანი იყო დაგირავებული სს ბანკი „რესპუბლიკას“ სასარგებლოდ.

ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, გამყიდველმა ნასყიდობის საგანი გაყიდა, ხოლო მიყიდველმა იყიდა 1 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად. ნასყიდობის ფასი გადახდილ უნდა ყოფილიყო ეროვნული ვალუტით გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის (1 აშშ დოლარი = 1.4020 ლარს) შესაბამისად, რაც შეადგენს 1 542 200 ლარს. ნასყიდობის ფასი გადახდილ იქნა საბანკო ანგარიშსწორებით გამყიდველის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით: სს ბანკი „ქართუ“, მიმღები შპს „თ.ჯ. თრეიდი“.

ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, 08.09.2008 წლის მდგომარეობით სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ დებიტორული დავალიანება შეადგენდა 40661550.47 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება - 64149265.24 ლარს.

ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ დავალიანება აღმოჩნდებოდა იმაზე მეტი, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში და რაც არ იყო გაცხადებული გამყიდველის მიერ, რასაც შედეგად მოჰყვებოდა მიყიდველისათვის ზიანის მიყენება, გამყიდველს ეკისრებოდა ამ გარემოებით მიყიდველისათვის მიყენებული ზიანის

სრულად ანაზღაურების ვალდებულება.

2008 წლის 17 სექტემბერს, ვახტანგ ჭეიშვილს, შპს „თ.ჯ. თრეიდსა“ და ავთანდილ საყვარელიძეს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „თ.ჯ. თრეიდს“ არ გააჩნია პრეტენზია ვახტანგ ჭეიშვილთან, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში“ არსებული აქციების ყიდვა-გაყიდვასთან.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2008 წლის 17 სექტემბრის შეთანხმება (ტომი 1, ს.ფ. 138-139);
- 2008 წლის 17 სექტემბრის აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება (ტომი 1, ს.ფ. 140-148);
- საგადახდო დავალება (ტომი 1, ს.ფ. 339,340);
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.6. 2008 წლის 17 სექტემბერს, ვახტანგ ჭეიშვილსა და ბადრი წილოსანს შორის დაიდო სანოტარო წესით დამოწმებული აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, გამყიდველმა ვახტანგ ჭეიშვილმა მყიდველ ბადრი წილოსანს მიჰყიდა, ემიტენტის - სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ 1775222 აქცია, რაც შეადგენს აქციათა საერთო რაოდენობის 25.817881 %-ს. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 აშშ დოლარი, სულ ნასყიდობის საგნის - 1775222 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1775222 აშშ დოლარი.

ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, გამყიდველმა ნასყიდობის საგანი გაყიდა, ხოლო მყიდველმა იყიდა 1 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად. ნასყიდობის ფასი გადახდილ უნდა ყოფილიყო ეროვნული ვალუტით გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის (1 აშშ დოლარი = 1.4020 ლარს) შესაბამისად, რაც შეადგენს 1 542 200 ლარს. ნასყიდობის ფასი გადახდილ იქნა საბანკო ანგარიშსწორებით გამყიდველის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით: სს ბანკი „ქართუ“, მიმღები შპს „თ.ჯ. თრეიდი“.

ნასყიდობის საგანი იყო დაგირავებული სს ბანკი „რესპუბლიკას“ სასარგებლოდ.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2008 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულება აქციების ნასყიდობის შესახებ (ტომი 1, ს.ფ. 149-155);
- საგადახდო დავალება (ტომი 1, ს.ფ. 339,340);
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.7. 2008 წლის 06 ნოემბრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების თანახმად, შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში შემდეგი ბრალდებით: შპს „თ.ჯ. თრეიდის“ მიერ შესყიდული მომსახურების გაუნაღებლობის გამო, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძის უშუალო ჩარევითა და მითითებით,

ბანკებიდან აღებული დიდი ოდენობით სესხებზე სარგებლისა და პირგასამტეხლოს სახით (სარგებლის 18%-იანი და პირგასამტეხლოს 0.12%-იანი განაკვეთიდან გამომდინარე) გაწეული დანახარჯებით ქარხანამ განიცადა ზიანი - 3 355 042 ლარი, მათ შორის სარგებლის სახით 990 408 ლარი და პირგასამტეხლოს სახით 2 364 634 ლარი.

თბილისის სააკველაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის ბრძანების თანახმად, ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. #118, ბინა #25-ში მდებარე ავთანდილ საყვარელიძის კუთვნილ საცხოვრებელ ბინას, ფართობით 51.00/1988.00.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 02 დეკემბრის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანების თანახმად, ყადაღა დაედო ავთანდილ საყვარელიძის კუთვნილ 25%-იან წილს შპს „ნეპტუნში“.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2008 წლის 06 ნოემბრის დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ (ტომი 1, ს.ფ. 156-158);
- თბილისის სააკველაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის ბრძანება (ტომი 1, ს.ფ. 159-160);
- 2008 წლის 02 დეკემბრის ბრძანება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ (ტომი 1, ს.ფ. 161-163);
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.8. ავთანდილ საყვარელიძის 28.11.2008 წლის განაცხადი საერთაშორისო მფარველობაზე ავსტრიის სახელმწიფოს მიერ დაკმაყოფილდა და მას მიენიჭა თავშესაფრის დამადასტურებელი სტატუსი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 02.02.2012 წლის განაჩენი თავშესაფრის მინიჭების თაობაზე (ტომი 1, ს.ფ. 366-368);
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. სასამართლო საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების, მოწმეთა ჩვენებების, მხარეთა განმარტებების ერთობლიობაში განხილვისა და გამოკვლევის საფუძველზე მიიჩნევს, რომ 2008 წლის 17 სექტემბერს, შპს „თ.ჯ თრეიდსა“ და ბადრი წილოსანს შორის სანოტარო წესით დამოწმებული აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება იძულებით დადებული გარიგებაა. აღნიშნული გარიგების დადების დროს, მოსარჩელის მიერ გამოვლენილი ნება არ იყო თავისუფალი. სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანასთან“ დაკავშირებით განვითარებული გარემოებები, შპს „თ.ჯ თრეიდსა“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეზე და ამავე საწარმოს მფლობელებზე ნების გამოვლენის პროცესში განხორციელებული აშკარა ჩარევები - მოვლენების მთელი ჯაჭვი მიუთითებს იძულების (მუქარის) იმ ხარისხზე,

რაც სრულწლოვან, ქმედუნარიან პირს არა მხოლოდ აფიქრებინებდა, არამედ შეუქმნიდა მყარ შთაბეჭდილებას და დაარწმუნებდა არსებული მუქარის მომავალში რეალური განხორციელების შესაძლებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში მუქარის განმახორციელებელი პირისათვის სასურველი ნების გამოვლენა წარმოადგენდა მუქარის მიზანს - სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ აქციების მოპასუხე ბადრი წილოსანის სახელზე გადაფორმება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავინთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

ამავე კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ის ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებლს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ხოლო კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

განსახილველი დავის სწორი გადაწყვეტისთვის, სასამართლომ აქცენტები არ უნდა გააკეთოს რომელიმე კონკრეტულ მტკიცებულებასა თუ ფაქტობრივ გარემოებაზე. მთლიანი სურათის შექმნა და მისი სამართლებრივ სიბრტყეზე გადატანა უნდა განხორციელდეს ყველა გარემოებასა და მტკიცებულებაზე დაყრდნობით, ამასთან, საჭიროა გაანალიზება იმისა, თუ რამ განაპირობა სადავო გარიგების დადება.

მოცემულ შემთხვევაში იძულების ფაქტის დადასტურება პირდაპირი და ცალსახა მტკიცებულებით, თვითონ იძულების არსისა და ბუნების გათვალისწინებით, შეუძლებელია. იძულების დადგენა უნდა მოხდეს საქმეში ასახული, სხვადასხვა დროს მიმდინარე მოვლენებს შორის ლოგიკური კავშირის აღმოჩენით და ისეთი პარალელების გავლებით, რომლებიც უტყუარად და სარწმუნოდ დაადასტურებენ იძულების ფაქტის არსებობას.

სასამართლოს მოსაზრებით, საქმის განხილვის პროცესში, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტების შეფასებასა და გაზიარებას, რომლებზეც ცალსახად უთითებენ მოწმეები თავიანთ ჩვენებებში.

სასამართლოში დაიკითხენ მოსარჩელისა და მოპასუხის მოწმეები.

მოსარჩელის მოწმე მირიან დეკანოძის ჩვენებაში აღნიშნულია შემდეგი:

მირიან დეკანოძე 2007-2008 წლებში იყო სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ დირექტორი. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ქარხანა წარმატებით საქმიანობდა, შპს „საქართველოს რკინიგზის“ დეპარტამენტიდან იღებდა დაკვეთებს, რომელსაც ქარხანა ასრულებდა. განხორციელდა რამდენიმე წარმატებული პროექტი. შპს „საქართველოს რკინიგზის“ მაშინდელი გენერალური დირექტორი ირაკლი ეზუგბაია იბარებდა ქარხნის ხელმძღვანელობას მენეჯმენტის საკითხებთან დაკავშირებით. ის, როგორც სახელმწიფო მოხელე ერეოდა ქარხნის მენეჯმენტის საკითხებში, როგორცაა პრივატიზაციის საკითხი და სხვა. ასევე ეკითხებოდა ქარხნის ხელმძღვანელობას, როდის აპირებდნენ ქარხნის გადატანას, ვინაიდან ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ დაინტერესებული ქარხნის შესყიდვით თუ განკარვით და სხვა. შპს „საქართველოს რკინიგზამ“ ქარხანას შეუწყვიტა ანაზღაურება, რამაც გამოიწვია ქარხანაში დასაქმებული პირებისთვის ხელფასების მიცემის შეფერხება. ირაკლი ეზუგბაიასთან შეხვედრების დროს, ასევე გაჟღერდა აზრი, რომ აპირებდნენ ქარხნის ჯართად გაყიდვას 30 მილიონ ლარად. 2007 წლის შემოდგომაზე, ქარხანაში შემოვიდა ფინანსური პოლიცია და მოითხოვეს ქარხნის შემოწმება, კომპიუტერული ბაზები მოხსნეს და წაიღეს, იყვნენ ნიღბებში, იყენებდნენ შიშის მეთოდებს. დაიწყეს შემოწმება. დაახლოებით 1 თვეში, დეკემბერში დადეს შეფასება, რომ ქარხანას უმნიშვნელო თანხა (ჯარიმა) ჰქონდა გადასახდელი. ფინანსური პოლიცია ქარხანაში ისევ შევიდა იანვარში, იგივე მეთოდით ისევ გაიტანეს კომპიუტერული ბაზები და ქარხანა ასეთ რეჟიმში მუშაობდა, შეფერხებებით. რკინიგზის მოქმედებებიდან გამომდინარე, ქარხანას ფინანსური პრობლემებიც ჰქონდა. ამის შემდეგ, ის და ავთანდილ საყვარელიძე რამდენჯერმე დაიბარეს ფინანსურ პოლიციაში ქარხნის სხვა პირზე გადაფორმებასთან დაკავშირებით. ეს იყო ზეწოლა. სოსო მგელაძე, რომელიც დავით კეზერაშვილის წარმომადგენელი იყო, აწარმოებდა მოლაპარაკებებს მათთან, რომ ქარხანა უნდა გადაეფორმებინათ ბადრი წილოსანისთვის. ეს პროცესები მიმდინარეობდა ზეწოლის და მუქარის ქვეშ, რადგან ემუქრებოდნენ ოჯახების განადგურებით. ქარხნის გადაფორმება მოხდა მირიან დეკანოძის დირექტორობის დასრულების შემდეგ, თუმცა იგი ამ პროცესებში ჩართული იყო ავთანდილ საყვარელიძესთან ერთად. ფინანსურ პოლიციაში ხშირად უწევდა მისვლა, მიზანი იყო დაშინება. სოსო მგელაძემ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ოფისში ყოფნის დროს პირდაპირ გამოუცხადა დეკანოძეს, რომ ქარხანა უნდა გადაეფორმებინათ ერთი კვირის ვადაში. მას მერე იყო სატელეფონო რეკვები, დეკანოძისა და დეკანოძის მეუღლის ტელეფონზე, მუქარები და შეშინება.

ქარხნის გადაფორმება მოხდა 2008 წლის 17 სექტემბერს, როდესაც შპს „თ.ჯ.თრეიდის“ ოფისში მივიდნენ ზაზა ჯმუხაძე, ფინანსური პოლიციის ჯგუფის უფროსი და მისი თანამშრომლები და მოსთხოვეს მათთან ერთად მანქანით სანოტარო ბიუროში წასვლა. იმ პერიოდში ეძებდნენ ვახტანგ ჭიიშვილს, რომელიც აქციების 25%-ს ფლობდა. ვახტანგ ჭიიშვილის მიმართ შპს „თ.ჯ. თრეიდს“ გააჩნდა დავალიანება, რომელიც გასტუმრებული ჰქონდა შპს „თ.ჯ. თრეიდს“, თუმცა ამ წილის გადაფორმება (25%-ს)

შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სახელზე რატომღაც ფერხდებოდა. მანქანაში ჩასხდნენ მირიან დეკანოიძე, ავთანდილ საყვარელიძე, კომპანიის იურისტი ბადრი ნიაური და ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები და წავიდნენ სანოტარო ბიუროში, პარალელურად გზაში ეძებდნენ ვახტანგ ჭეიშვილს. უშუალოდ ნოტარიუსის კაბინეტში მირიან დეკანოიძე არ ყოფილა, რადგან იგი ამ დროისთვის აღარ იყო ქარხნის დირექტორი, მაგრამ იდგა გარეთ, ნოტარიუსის ოფისის ახლოს და დაინახა საკუთარი თვალით, როგორ მოიყვანეს ვახტანგ ჭეიშვილი შავი ჯიპით, ხელბორკილებით და შეიყვანეს ნოტარიუსის ოფისში. შემდეგ ასეთივე წესით გამოიყვანეს, უკვე გვიანი იყო საღამოს 9-10 საათი, ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს. მირიან დეკანოიძე ელოდებოდა ავთანდილ საყვარელიძის გამოსვლას, რომელიც გამოვიდა და ელაპარაკებოდა ტელეფონზე ვეფხვია კობიაშვილს, ფინანსური პოლიციის თანამშრომელს, რომელსაც უთხრა, რომ ყველაფერი დასრულდა და პრობლემა არ იყო. ამის შემდეგ, ავთანდილ საყვარელიძე იყო მივლინებაში საფრანგეთში. მირიან დეკანოიძე 26 სექტემბერს, იყო რაჭაში, როდესაც დაურეკა ვინმე ჯმუხაძემ, ფინანსური პოლიციის ჯგუფის ხელმძღვანელმა და დაინტერესდა სად იყო ავთანდილ საყვარელიძე. მირიან დეკანოიძემ უთხრა, რომ იცოდა ავთანდილ საყვარელიძე იყო მივლინებაში. ჯმუხაძემ ჰკითხა დეკანოიძეს, თვითონ სად იმყოფებოდა. მ.დეკანოიძემ უთხრა, რომ თბილისში არ იყო და ჰკითხა, რომ ყველაფერი გადაფორმდა და მათგან რაღა უნდოდათ. მან უთხრა, რომ კიდევ რაღაც დეტალები იყო დასაზუსტებელი. სანამ მ.დეკანოიძე თბილისში ჩამოვიდოდა, ეს ზარები რამდენჯერმე განხორციელდა მასთან, ასევე დაურეკა სოსო მგელაძემაც. ამ ყველაფერმა მიაღწია კულმინაციას, როდესაც იყო სახლში, ძალიან განერვიულებული და შიშის ქვეშ, კიდევ დაურეკა იგივე სოსო მგელაძემ მუქარით, ფინანსური პოლიციის სხვა თანამშრომლებმაც, რომლებიც პირდაპირ ემუქრებოდნენ 10 წლის შვილის სიკვდილით. ღამის 2 საათზე გააღვიძა შვილი და მთელი ოჯახი მეგობრების დახმარებით ჩავიდნენ თურქეთში, სადაც ორი დღე გაჩერდნენ, რადგან ბავშვმა ვერ გაუძლო ამდენ სტრესს. თურქეთშიც ურეკავდნენ მუქარის ზარებით. აინტერესებდათ იყო თუ არა ქვეყნიდან გასული. ამის შემდეგ მ.დეკანოიძის ოჯახი გაფრინდა ამერიკაში, სადაც 3-4 თვის მანძილზე არ შემწყდარა მუქარის ზარები. როცა მ. დეკანოიძემ უთხრა რომ რჩება ამერიკაში და აღარ მოდის საქართველოში, მხოლოდ ამის შემდეგ შეწყდა სატელეფონო ზარები. თბილისში, მათ სახლში დარჩა მათი შვილის აღმზრდელი, რომელიც ფანჯრიდან ხედავდა ადამიანების მოძრაობას, რომლებიც რაციით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მეზობლებთან ხშირად კითხულობდნენ ფინანსური პოლიციიდან, პროკურატურიდან და ა.შ.

მირიან დეკანოიძემ ამერიკაში მიმართა ლოს-ანჯელესის სასამართლოს თავშესაფრის მიცემის მოთხოვნით, რადგან საქართველოში ვერ დაბრუნდებოდა იმის გამო, რომ საქართველოში მთელ ოჯახს ემუქრებოდა სიკვდილი. ამერიკის სასამართლომ მისცა თავშესაფარი და ყველა საცხოვრებელი პირობა შეუქმნა.

მირიან დეკანოიძემ განაცხადა, რომ ის არის მოწმე, რომელიც ავთანდილ საყვარელიძეს მიყვებოდა ხოლმე თავდაცვის სამინისტროში და ხედავდა როგორ შედიოდა საყვარელიძე თავდაცვის სამინისტროში, თუ ფინანსურ პოლიციაში. ეს იყო ძალადობის

აქტი, განხორციელებული ორ ოჯახზე. დ.კეზერაშვილთან და დ.ქარსელაძესთან საუბრებს არ ასწრებდნენ. თუმცა სოსო მგელაძესთან სხვა შესაშინებელ-მოსამზადებელ შეხვედრაზე ყოველთვის იყო ავთანდილ საყვარელიძესთან ერთად და ესწრებოდა ამ მოლაპარაკებებს. შეხვედრებზე „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ ბადრი წილოსანის სახელზე აქციების გადაფორმებასთან დაკავშირებით, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეც არველაძეც კი იღებდა მონაწილეობას. თავიდან არველაძე ამბობდა, რომ ეს ქარხანა ჯართად უნდა გაიყიდოსო 30 მილიონ ლარადო, შემდეგ ბადრი წილოსანის სახელზე უნდა გადაფორმდესო. თავიდან ეს ქონება სახელმწიფომ ჩამოართვა ბადრი წილოსანს, შემდეგ ეს ქონება გაიყიდა აუქციონზე და იყიდა შპს „თ.ჯ. თრეიდმა“, პრივატიზება მოხდა წესის დაცვით. მოწმემ განაცხადა, რომ არ იცის ბადრი წილოსანს წაართვეს თუ არა ქონება. გვიან სადამოს, სს „თიბისი ბანკმა“ განახორციელა ტრანზაქცია, სადავო ნასყიდობის თანხა ჩაირიცხა შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სახელზე და შემდეგ ეს თანხა დაბრუნდა ისევ სს „თიბისი ბანკის“ ანგარიშზე. 2 მილიონი ქარხნისთვის ძალიან შეუსაბამო და სასაცილო ფასი იყო. მოწმის ჩვენების თანახმად, მისი დირექტორობის პერიოდში არსებობდა მხოლოდ ინვესტიციის მოზიდვის და არა ქარხნის გაყიდვის გეგმები. იყო მოლაპარაკებები ჩინურ კონცერნთან, თუმცა საქმის ბოლომდე მიყვანა არ დააცადეს. მოწმემ დაადასტურა, რომ წილების ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო იძულებით. ქარხნის საქმიანობა იყო წარმატებული, სანამ რკინიგზამ არ შეაჩერა ანაზღაურებები. რკინიგზა ახალი პროექტების ავანსებს რიცხავდა, თუმცა მოწმემ ოდენობები ვერ გაიხსენა. მიუხედავად ამისა, რკინიგზა არ იხდიდა შესრულებული სამუშაოების ღირებულებას. რაც შეეხება სასამართლოდან სარჩელის გამოხმობას, ეს მოხდა იძულების გამო. სარჩელის გამოხმობის თაობაზე განცხადებაზე ხელი არ მოუწერია. სანამ სადავო ხელშეკრულება გაფორმდებოდა, დირექტორობის პერიოდში, მიმდინარეობდა ზეწოლა.

მოსარჩელის მოწმე ავთანდილ საყვარელიძის ჩვენების თანახმად, 2005 წელს სახელმწიფომ გასაყიდად გამოიტანა ორი უზარმაზარი ქარხნის საკონტროლო პაკეტები, ერთი სს „ელმავალმშენებელი ქარხნის“ და მეორე სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“. შპს „თ.ჯ. თრეიდმა“ შეიძინა ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის საკონტროლო პაკეტი. საწყისი ფასი იყო 2 მილიონი აშშ დოლარი, სულ ოთხი მონაწილე იყო და საბოლოოდ შპს „თ.ჯ. თრეიდმა“ შეიძინა 6 მილიონ აშშ დოლარად. სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, არის მონოპოლიური ბიზნესი, ქარხანას ჰქონდა 100 წლიანი ისტორია. შპს „თ.ჯ. თრეიდმა“ განახორციელა უზარმაზარი ინვესტიციები, ქარხანა გადაიხურა, შეიღება. აიღეს სხვადასხვა ტიპის ლიცენზიები, ბრუნვა 2 მილიონიდან ავიდა 100 მილიონამდე, ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას იღებდნენ სამეთვალყურეო საბჭოზე. თუმცა ბადრი წილოსანი ამჯობინებდა დივიდენდის მიღებას, ქარხანაში ინვესტიციების ჩადებასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან შედარებით. 2008 წლის 6 სექტემბერს, შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ოფისში გამოცხადდა სოსო მგელაძე, რომელიც იყო დავით კეზერაშვილის „მარჯვენა ხელი“ და უთხრა, რომ იბარებდა თავდაცვის მინისტრი დ.კეზერაშვილი. მოწმემ განაცხადა, რომ ეს დაბარება ჩათვალა, რომ ეხებოდა ლტოლვილების თემას, რომლებსაც 2008 წლის 8 აგვისტოს ომის შემდეგ უწევდნენ გარკვეული სახის დახმარებას. 8 სექტემბერს, 12-13 საათზე უნდა მისულიყო თავდაცვის სამინისტროში. ავთანდილ საყვარელიძე დანიშნულ დროს

გამოცხადდა სამინისტროში, საკუთარი მანქანით, საშვი დაშვებული იყო, ავიდა კაბინეტში დ.კეზერაშვილთან, რომელიც დახვდა არაჯანსაღ მდგომარეობაში, სავარაუდოდ გადაღლილი, რომელმაც უხეშად ჰკითხა, იყო თუ არა საყვარელიძე. დ.კეზერაშვილმა უთხრა ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ ქარხანა უნდა მომცეო, რასაც მოყვა საყვარელიძის და დ.კეზერაშვილის სერიოზული შეხლა-შემოხლა, კაბინეტი სავსე იყო მისი თანამშრომლებით. მან განუცხადა, რომ ქარხანას მაინც წაიღებდა და თუ ბევრს „იჭიდავებდა“, ამოწყვეტავდა ყველას. კაბინეტის კართან დახვდა უცნობი პიროვნება, რომელმაც უთხრა, რომ უნდა მისულიყო ფინანსურ პოლიციაში. მივიდნენ ფინანსურ პოლიციაში, აიყვანეს ზედა სართულზე, დავით ქარსელაძესთან, რომლის თანამდებობა მოწმისთვის უცნობია. იქ დახვდნენ დ. ქარსელაძე და ბადრი წილოსანი ერთად. დ.ქარსელაძემ უთხრა, რომ ქარხანა უნდა დაეთმო ბადრი წილოსანისთვის, რამაც მოწმის აღშფოთება და გაკვირვება გამოიწვია. იქ უთხრეს, რომ გადაწყვეტილება სახელმწიფოში იყო მიღებული და ყველაფრის მშვიდობიანად დასრულებისთვის, ასე უნდა მოქცეულიყო. დ.ქარსელაძემ ასევე უთხრა, რომ ამ პროცესების კურატორი იქნებოდა ბადრი წილოსანი და უნდა დამორჩილებოდა წილოსანის მითითებებს და განკარგულებებს, ეს მოხდა დ.ქარსელაძის კაბინეტში. ამ საუბრის შემდეგ დ.ქარსელაძემ გამოიძახა თავისი მოადგილე ვეფხვია კობიაშვილი, რომელსაც იგივე გაუმეორა და უთხრა, რომ ეს პროცესები მას უნდა გაეკონტროლებინა. მოწმის ჩვენების მიხედვით, მისი პასუხი იყო, რომ ვერავინ ვერაფერს წაიღებდა და თუ ომი იყო ეომათ. ეს იყო პირველი შეხვედრა, პირველი დღე, ამის შემდეგ 8 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით, ფიზიკურად მარტო გადაადგილების საშუალება არ ჰქონდა, მუდმივად თან ახლდა 5-10 შეიარაღებული და ნიღბიანი ადამიანი, რომლებიც ანგარიშს აბარებდნენ დ.ქარსელაძეს და ბ.წილოსანს ტელეფონით. ღამის 2-3 საათზე მიიყვანდნენ ფინანსურ პოლიციაში და იყო დ.ქარსელაძის ან ვ.კობიაშვილის კაბინეტში, ან იყვნენ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ოფისში. 8 სექტემბერს, ღამის 2-3 საათზე დაასრულეს ეს საუბარი და შეკამათება. ოფისში მოვიდნენ წილოსანის მხრიდან, სავარაუდოდ თელია, ვისაც უნდა მოემზადებინა ქაღალდები აქციების გადასაფორმებლად, ამ პროცესებში სულ მონაწილეობდა სოსო მგელაძე და ოფისში ძალიან ხშირად იყო ან ვ.კობიაშვილი ან ვიღაც მათი წარმომადგენელი, ან ბადრი წილოსანი, მისი შვილი და მისი გარემოცვა. საუბარი მიდიოდა იმაზე, რომ აქციები უნდა გადაეცათ უსასყიდლოდ, ჩუქებით. საყვარელიძის კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ ქარხანას აქვს თავისი ფასი და ფული უნდა გადაეხადათ, ისე ვერაფერს მიიღებდნენ. ამას პარალელურად ახლდა პროცესები, რომ ა.საყვარელიძის სახლთან მუდმივად ტრიალებდა შეიარაღებული ხალხი, ხდებოდა მცირეწლოვანი შვილების სკოლაში გაცილება მათ მიერ, ხან მოდიოდნენ მასთან სახლში შეიარაღებული ხალხი და მოკლედ ეს იყო ტერორი. დ.კეზერაშვილის ზედმეტი სახელი იყო სოსო, სტალინთან მისი შედარების გამო, ანუ მეთოდებს კარგად არჩევდნენ. აქციები პრივატიზაციას ახლდა თავის ვალდებულებები სახელმწიფოს მხრიდან, პირველი 5 წლის განმავლობაში უნდა ჩატარებულიყო მონიტორინგი, უნდა გაზრდილიყო შტატი და ა.შ. აქციების გადაფორმებასაც ესაჭიროებოდა ეკონომიკის სამინისტროდან გაცემული სახელმწიფო ნებართვები. ქარხანამ მოიზიდა ინვესტორი ვახტანგ ჭეიშვილი, რომლისგანაც თანხა ჰქონდათ აღებული და ამის სანაცვლოდ 25% აქციები იყო ვ.ჭეიშვილზე გაფორმებული. შეხვედრა

შედეგა შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ოფისში, ბ.წილოსანის და დ.კეზერაშვილის მხრიდან იყო ქარსელაძე, ასევე იყო ვ.ჭიჭიშვილიც, რომელმაც თქვა, რომ აქციები იყო შპს „თ.ჯ. თრეიდის“, თუმცა ვერ მოესწრო ამ აქციების გადაფორმება. ვახტანგ ჭიჭიშვილმა უთხრა როგორც საყვარელიძე გადაწყვეტს ისე მოვიქცევით, რადგან აქციები რეალურად არ მეკუთვნისო. ეს იყო შუალედური შეხვედრა. ამის შემდეგ ეკონომიკის სამინისტროში გაამზადეს ნებართვები, რაც აქციების გაყიდვას სჭირდებოდა, იქ მიიყვანეს შპს „თ.ჯ. თრეიდის“ დამფუძნებლები ქეთევან ცინცაბაძე და ა. საყვარელიძის მეუღლე. ეს პაკეტი გაამზადდა 2-3 დღეში, სხვა შემთხვევაში, 2-3 თვე დასჭირდებოდა. ბოლო ორი დღე, 14 - 15 რიცხვში, მას აღარ აძლევდნენ თავის თანამშრომლებთან კონტაქტის შესაძლებლობას, ვინაიდან იცოდნენ, რომ კოლექტივი მის ნებაზე ივლიდა, ამიტომ მთავარი იყო მისი განეიტრალება. ამ დროიდან თითქმის პატიმრობის რეჟიმში იყო. გამოკეტილი იყო ფინანსური პოლიციის შენობაში, ძალიან იშვიათად გამოდიოდა გარეთ. ერთხელ დილის 6 საათზე გამოუშვეს, იქ იყო სხვებთან ერთად. ეს 10 დღე პრაქტიკულად სახლში არ ყოფილა. მოსთხოვეს, რომ ვ.ჭიჭიშვილის მოძებნაში დახმარებოდა. მოწმის პასუხი იყო თავად მოეძებნათ. ეს ხდებოდა 16 რიცხვამდე. მათ გადაწყვიტეს, რომ ქონების გადაფორმება უნდა მომხდარიყო 17-ში, წინააღმდეგობის შემთხვევაში, ყველას გაუსწორდებოდნენ. 17 სექტემბერს დილით, უკვე ოფისში იყო, ფინანსური პოლიციიდან იქ უკვე იდგნენ ნიღბიანები. განუცხადეს, რომ დღეს უნდა მომხდარიყო გადაფორმება, ნოტარიუსი შერჩეულია, ბადრი ნიაური გაცნობილია დოკუმენტებს, არის დ.კეზერაშვილთან და როგორც კი იქიდან წამოვა, უნდა გადაეფორმებინათ ნოტარიუსთან აქციები.

მოწმის განმარტებით, „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ქარხნის მიმართ არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ქარხანას ჰქონდა გარკვეული ფინანსური პრობლემები, დაკავშირებული თანამშრომლების ხელფასების გაცემასთან და ა.შ. სწორედ ამის გამო, აიღო კრედიტი 2, 2.5 მლნ დოლარის ფარგლებში და დააგირავა საკუთარი, პირადი ქონება, სახლები, იმისთვის, რომ ხელფასები გაეცათ და დაეფარათ მიმდინარე ხარჯები. თანხა აიღეს „თიბისი ბანკიდან“ და შეიტანეს ქარხანაში. „თიბისი ბანკის“ კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ თუ ავთანდილ საყვარელიძეს წაართმევდნენ ქარხანას, მის მიერ აღებული პიროვნული კრედიტი დარჩებოდა უზრუნველყოფის გარეშე. შესაბამისად, ბანკის მოთხოვნა იყო, რომ საყვარელიძის, როგორც ფიზიკური პირის მიერ აღებული კრედიტი უნდა დაფარულიყო. 17 რიცხვში ითქვა ყველაფერი შეთანხმებულიაო, მხოლოდ ხელია მოსაწერი შეთანხმებაზე აქციების ბადრი წილოსანისთვის მიყიდვის თაობაზე და ამისთვის საჭირო იყო ნოტარიუსის ბიუროში წასვლა. მოწმის განმარტების თანახმად, იგი ხუთჯერ წაიყვანეს ისევ ფინანსურ პოლიციაში, იქ ხვდებოდა ბადრი წილოსანი, რომელსაც დ.ქარსელაძე ეკითხებოდა, ხომ იყო კმაყოფილი. ბადრი წილოსანი პასუხობდა, რომ მისიანებმა ნახეს დოკუმენტები და ყველაფერი კარგად იყო. ნოტარიუსთან ვერ მიდიოდნენ, რადგან ეძებდნენ ვ.ჭიჭიშვილს. დაახლოებით 8-9 საათისთვის საღამოს, ჯგუფმა, რომელიც მეთვალყურეობდა ა.საყვარელიძეს, მიიღო ბრძანება, რომ წასულიყვნენ ნოტარიუს ოთარ ზოიძის ბიუროში, მარჯანიშვილის N5-ში. ხელშეკრულების გაფორმების დროს ნოტარიუსის ფოიეში იყვნენ ბადრი წილოსანი, ავთანდილ საყვარელიძე, დავით აბრამაშვილი (დირექტორი), ბადრი ნიაური, შეიარაღებული ჯგუფი, ნოტარიუსი

ა.ზოიძე და რეგისტრატორი. შემოიყვანეს, ვ.ჭეიშვილი. დასვეს სკამზე. მას მიუვარდნენ სახლში და იძულებით წამოიყვანეს. ეს იყო მუქარის დემონსტრირება, იმ შემთხვევაში თუ ქონების გადაფორმებაზე თანხმობა არ იქნებოდა. ნოტარიუსმა ა.ზოიძემ ჰკითხა შეიარაღებულებს რამე ძალადობას ხომ არ აქვს ადგილი. შეიარაღებულებმა უპასუხეს, რომ ისინი დაცვა იყვნენ. მაშინ დავიწყოთო და ნოტარიუსმა დაიწყო თავისი პროცედურების შესრულება. წარმოადგინა ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც ეწერა, რომ აქციებს ყიდდნენ დაახლოებით 3 მილიონ ლარად, ზუსტად ის თანხა, რაც „თიბისი ბანკიდან“ იყო აღებული კრედიტის სახით და რაც ბანკმა მოითხოვა. სს „თიბისი ბანკში“ ეს გადარიცხვები შესრულდა. სულ ორი ტრანზაქცია გაკეთდა. ამას დაარქვეს აქციების ნასყიდობის ფასი, თუმცა რეალურად დაიფარა „თიბისი ბანკის“ დავალიანება. ვახტანგ ჭეიშვილმა დააყენა საკითხი, გაფორმებულიყო შეთანხმება, რომ ა.საყვარელიძეს მასთან არანაირი პრეტენზია არ ექნებოდა. ა.საყვარელიძემ მოუწერა ხელი დოკუმენტზე, რომ ვ.ჭეიშვილთან არანაირი პრეტენზია არ ექნებოდა. გაფორმდა აქციების ნასყიდობის ხელშეკრულებები, თან დაერთო დებიტორთა სიები, ამ დოკუმენტებში გაეპარათ რამდენიმე შეცდომა და მეორე დღეს როდესაც ეს თანხა დაჯდა შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ანგარიშზე „ქართუ ბანკში“, ისევ სს „თიბისი ბანკის“ წარმომადგენელმა, კონკრეტულად ვახტანგ ბუცხრიკიძემ, დაურეკა ა.საყვარელიძეს და უთხრა, რომ ეს თანხა სხვა ანგარიშზე არ გადაერიცხათ, „ქართუ ბანკშივე“ გაკეთდა სპეციალური სატრანზიტო ანგარიში და ამ სატრანზიტო ანგარიშით შევიდა თანხა პირდაპირ „თიბისი ბანკში“ და დაიფარა ა.საყვარელიძისა და ქ.ცინცაბაძის კრედიტები. ასე დასრულდა ეს დღეები. მის მიერ აღებულ კრედიტს არ ეყო ეს ნასყიდობის თანხა, რადგან აღებიდან დაფარვამდე პროცენტი იყო დარჩენილი 180 000 აშშ დოლარი. სწორედ ამ სესხის გამო დაკარგა ბინა, მდებარე ქ.თბილისში, ტაბიძის 114-ში, რომელიც ამჟამად „თიბისი ბანკის“ საკუთრებაშია. ყველაფერი მოხდა სექტემბრის თვეში. ქარხნის ოქტომბრის ამონაწერში უკვე ჩანს, რომ რკინიგზამ სრულად აუნაზღაურა ქარხანას დავალიანება და ამის შემდეგ იდეალურ მდგომარეობაში გააგრძელეს მუშაობა. იყო გარკვეული ხარვეზები ამ დოკუმენტებში, რაც ფინანსურმა პოლიციამაც დაფიქსირა. მოწმის ჩვენებით, 19 სექტემბერს უნდა გაფრენილიყო პარიზში, თუმცა საზღვარზე დააკავეს. გამოუცხადეს რომ არსად გაუშვებენ, რასაც მისი აღშფოთება მოჰყვა. მოწმემ პირადი ნაცნობობით, დაიწყო რეკვები, ვერავის დაუკავშირდა და მესაზღვრეებშიც ბუნებრივი რეაქცია გამოიწვია, ძალიან დაიბნენ და გაატარეს. გაფრინდა საფრანგეთში, მალევე დაურეკა დ.ქარსელაძემ და უთხრა, რომ უნდა მისულიყო ფინანსურ პოლიციაში. მოწმემ უპასუხა, რომ იმყოფებოდა პარიზში. ამის შემდეგ დაიწყო გაუთავებელი ზარები, უთხრეს, რომ დაბრუნებულიყო საქართველოში, მხოლოდ 2 კვირით „ჩასვამდნენ“, რადგან დოკუმენტები იყო გადასაკეთებელი, ბადრი წილოსანს არ მოსწონდა, ხელშეკრულებაში მითითებული თანხის ოდენობა და ითხოვდა, რომ თანხა ჩაეწერათ 20-30 მილიონი, რომ შემდეგ მოსადავებელი არ ყოფილიყო. მოწმე ა.საყვარელიძე პარიზიდან გადავიდა ავსტრიაში და მიმართა ავსტრიის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით. ოჯახს მასთან არ უშვებდნენ 1 წლის მანძილზე, აგრძელებდნენ ტერორს.

მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, შეეფარდა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა, გამოგონილი ბრალდებით, ვითომ იყო რა სამეთვალყურეო საბჭოს

თავმჯდომარე, ბოროტად სარგებლობდა დაკავებული თანამდებობით, შოულობდა იაფ კრედიტებს და ეს საშიში იყო საბანკო სექტორისთვის. ადვოკატი გ.ყავლაშვილი ამ დროის მანძილზე 5-6-ჯერ დაუკავშირდა ტელეფონით. დ.ქარსელაძე შეხვდა ვენაში შემთხვევით, იყო შემოთავაზება რომ გადაეხადა 5 მილიონი, თანხა უკვე 2012 წლის ბოლოს იყო 100 000, ანუ ჩამოსვლის პრობლემას მოუგვარებდნენ და არა ქონებრივ რეაბილიტაციას. 2012 წელს, არჩევნების მეორე დღესვე, დაურეკა დ.კეზერაშვილის წარმომადგენელს ს.მგელაძეს და უთხრა, რომ ყველაფერი ისე დაეხვედრებინათ, რომ ქარხნის უკან გადაფორმება შეძლებოდა. ს.მგელაძემ დაურეკა დ.კეზერაშვილს, დ.კეზერაშვილმა ბ.წილოსანს და უთხრეს, რომ როცა ჩამოვიდოდა ისინი აქ ალბათ აღარ იქნებოდნენ და თვითონ მოუწევდა საქმის მოგვარება. გარემოცვას, რომელთანაც ბადრი წილოსანი საქმიანობს, შეუთვალა, რომ დაბრუნდა და მოითხოვდა თავისი საკუთრების დაბრუნებას. ამის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო კოჰაბიტაციის პროცესი და კოჰაბიტირდა ბევრი ბიზნესმენი თუ პოლიტიკოსი, მაგრამ მათ მიაღწიეს იმას, რომ მოვიდნენ სასამართლომდე და სურთ კუთვნილის დაბრუნება.

მოსარჩელის მოწმე ქეთევან ცინცაბაძის ჩვენების თანახმად, ცხოვრობს აშშ-ში, კალიფორნიაში, ქ. ლოს-ანჯელესში. ამერიკის მოქალაქე გახდება 1 თვეში. საქართველოში ცხოვრობს ქ.თბილისში, შანიძის #8-ში. ამერიკაში ცხოვრობს მე-9 წელია და მუშაობს კერძო კომპანიაში. იგი იყო შპს „თ. ჯ თრეიდის“ 50%-ის მეწილე დაფუძნების დღიდან. შემდეგ როდესაც მოხდა ქარხნის შექმნა, იყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ზეწოლის პროცესები უფრო ადრე დაიწყო, სანამ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდებოდა, დაიწყო 2007 წლის ნოემბრის ბოლოს. პირველად მაშინ შევიდნენ ქარხანაში, ნიღბებით, შეიარაღებული პირები. დალუქეს ქარხანა, მაშინ ქ. ცინცაბაძე იმყოფებოდა მივლინებაში, საზღვარგარეთ, ჩამოფრინდა და მივიდა ქარხანაში, დირექტორის კაბინეტში დახვდნენ ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები. მოითხოვეს ჩაეტარებინათ საბუთების მოკვლევა, დალუქეს კომპიუტერები და თანამშრომლების დაბარება დაიწყეს. დაამთავრეს შემოწმება, ხელმოსაჭიდი ვერაფერი ნახეს. ქარხანაში ყველაფერი რიგზე იყო, ჯარიმის სახით გამოწერეს მცირე თანხა, რომელიც გადაიხადეს. მეორედ, 2008 წლის თებერვალში შემოვიდნენ ქარხანაში ფინანსური პოლიციიდან, მოდიოდნენ შეიარაღებული, ფორმაში ჩაცმულები. შემოვიდნენ შპს „თ. ჯ თრეიდის“ ოფისშიც, ჭავჭავაძის 49ა-ში. დალუქეს ყველაფერი. ერთხელ, თებერვალში, დარეკეს მისი მეუღლის, მირიან დეკანოიძის ტელეფონზე და უთხრეს, რომ ის, მისი მეუღლე, მირიან დეკანოიძე და ავთანდილ საყვარელიძე უნდა მისულიყვნენ ფინანსური პოლიციის შენობაში, სადაც მივიდნენ და დასვეს სხვადასხვა ოთახებში. მასთან შემოდიოდნენ თანამშრომლები, იქნებოდა დილის 10 საათი, დალამდა და მისთვის არაფერი უკითხავთ. მირიან დეკანოიძეს და ავთანდილ საყვარელიძეს ეკითხებოდნენ რაღაცეებს, რაც ესმოდა ოთახიდან. მერე აღელდა და უთხრა, რომ ეკითხათ მისთვისაც რამე, ბოდიში მოუხადეს და დაუწყეს ლაპარაკი. ოღონდ ამას არ ჰქონდა დაკითხვის სახე, ესაუბრებოდნენ, თუ რატომ დაემართათ ეს. შემდეგ ოთახში შემოვიდა მისი ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი, რომელსაც ავთანდილ საყვარელიძემ მისცა რწმუნებულება. ამის მერე აღარ დაუბარებიათ, მასთან კონტაქტი არ ჰქონიათ, თუმცა ყველაფრის მოწმეა. 2008 წლის თებერვალში კომპანია და ქარხანა ერთდროულად შეამოწმეს. ჯარიმა იყო 9 000 თუ

11 000 ლარი, მეორედ უკვე ეს 9 000 გახდა 250 000 ლარი. ჯერ ვერ აღმოაჩინეს დარღვევები და მეორე დღეს სხვა დასკვნა მოიტანეს. შემდეგ იყო 2008 წლის 17 სექტემბერი, შპს „თ.ჯ თრეიდის“ ოფისის წინ იყვნენ სპეც. ტანსაცმელში ჩაცმული ადამიანები, ა. საყვარელიძე თავისი კაბინეტიდან უყურებდა ამ პროცესებს, იყო ბევრი ხალხი და მანქანები. მანამდე ავთანდილ საყვარელიძე ფინანსურ პოლიციაში ჰყავდათ დაბარებული, პოლიციიდან დაბრუნებულმა უთხრა, რომ ქარხანა უნდა გადაეფორმებინათ, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ. ქეთევან ცინცაბაძემ კი უპასუხა, თუ სხვა გზა არ იყო, მაშინ გადააფორმებდნენ.

მოწმის ჩვენებით, ეს იყო ზეწოლა, დაემუქრნენ შვილის სიცოცხლით, რის საფუძველზეც 2008 წლის სექტემბერში დატოვა ქვეყანა, ქარხანა გადააფორმეს. 2008 წლის 27 სექტემბერი თენდებოდა, მასთან მივიდნენ მეგობრები ქეთევანობის მისალოცად, ამ დროს მის მეუღლეს დაურეკა სოსო მგელაძემ, დავით კეზერაშვილის წარმომადგენელმა, რომელიც მონაწილეობდა ქარხნის გადაფორმების საკითხებში და ახდენდა ზეწოლას. ამ საუბრის შემდეგ მეუღლემ უთხრა, რომ სასწრაფოდ უნდა წასულიყვნენ ამერიკაში, რადგან დაემუქრნენ შვილის სიცოცხლით. გააღვიძეს 9 წლის შვილი და შუალამისას, ერთი მანქანიდან მეორე მანქანაში გადაჯდომით, ჩავიდნენ ბათუმში, ბათუმიდან თურქეთში და მერე უკვე ამერიკაში გაფრინდნენ. როცა ამერიკაში ჩავიდნენ, იქაც კი ურეკავდნენ და ემუქრებოდნენ, რომ არ დაბრუნებულიყვნენ ქვეყანაში. შემდეგ მათ მიმართეს ამერიკის ხელისუფლებას და მიიღეს თავშესაფარი.

მოწმის ჩვენებით, იმისთვის, რომ ქარხნის აქციები გადაფორმებულიყო, ის და ნანა რუსიშვილი („თ.ჯ თრეიდის“ 50% მოწილე) ერთად მივიდნენ ნოტარიუსში, რომ ქარხნის დირექტორ დავით აბრამაშვილისთვის მიეცათ უფლება ხელი მოეწერა კრების ოქმისთვის. იქიდან დაბრუნდა ოფისში. ზუსტად მაშინ იყო, რომ ავთანდილ საყვარელიძესთან მივიდნენ, რომელმაც მოიხსნა ჯვარი, ბეჭედი, საათი, მისცა კომპანიის ბუღალტერს ანა კიკნაძეს და უთხრა, ოთახიდან არავინ არ გასულიყო. ასე წაიყვანეს ავთანდილ საყვარელიძე ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა. კომპანიის 25 % აქციები იყო ვახანგ ჭეიშვილზე გაფორმებული ვალის სანაცვლოდ. ეს აქციები კომპანიას უკან უნდა გადმოეფორმებინა, რადგან ვალი უკვე დაფარული იყო, მაგრამ ვერ მოასწრეს. ფინანსურმა პოლიციამ ვერ იპოვა ვ.ჭეიშვილი და რატომღაც ჩათვალეს, რომ ა.საყვარელიძე ხელმძღვანელობდა იმას, რომ ვ.ჭეიშვილი არ გამოჩენილიყო და ის 25% ვერ გადაეფორმებინათ, ამიტომაც წაიყვანეს ა. საყვარელიძე. ბოლოს, ა. საყვარელიძე დაბრუნდა ოფისში და ელოდებოდა ზარს. უკვე ღამე იყო, მისი მანქანით იდგნენ ნოტარიუსთან, დაახლოებით 1 საათის მანძილზე. ამ დროს გაჩერდა მანქანა და გადმოიყვანეს, თეთრ პერანგში და ჩუსტებში ჩაცმული მამაკაცი, რომელსაც ედო ბორკილები. ეს იყო ვ.ჭეიშვილი, რომელიც ნოტარიუსის ოფისში შეიყვანეს. ისინი მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულები ეთქვათ, რომ ქარხანა გაყიდეს. ასეც ამბობდნენ - ქარხანა სარფიანად გაყიდეს.

მოწმის განმარტებით, მის შვილს საქართველოს გაგონება არ უნდა, ქართულად აღარ ლაპარაკობს. მეუღლე არ ჩამოდის საქართველოში. მას ჰყავს მოხუცი დედა, რომელიც დაბრმავდა და მისი გულისთვის ჩამოდის საქართველოში.

პრივატიზაციის დროს სახელმწიფოს ყველაზე მაღალი თანხა შპს „თ. ჯ. თრეიდიმა“ შესთავაზა. იყიდეს ქარხანა და აკეთებდნენ მატარებლებს, პრეზიდენტსაც ეამაყებოდა, მაგალითად, ბათუმის მატარებელი და ა.შ. მაგრამ ეს არ იყო პირველი შემთხვევა და არც ბოლო - სადაც კარგად წავიდოდა საქმე, ის ქონება სათავისოდ უნდოდათ. ის მტერი არ იყო, კანონმორჩილი ადამიანია, არც ოპოზიციაში იყო ხელისუფლებასთან, მაგრამ მათ ჰქონდათ ფინანსური ინტერესი. ქონების გასხვისება მოხდა იძულებით, მისი გაყიდვა არც არასდროს უფიქრიათ.

მოსარჩელის მოწმე ავთანდილ ხოფერიას ჩვენებით, 2006-2008 წლებში მუშაობდა „ელექტროვაგონშემკვეთებელ ქარხანაში“ ტექნიკურ დირექტორად.

მუშაობდა მაღალანაზღაურებად სამსახურში და ავთანდილ საყვარელიძისა და მირიან დეკანოიძის თხოვნით გადავიდა ამ ქარხანაში სამუშაოდ. რაც იქ ნახა, მასში გამოიწვია დიდი გაოცება. ყველა საამქრო იყო „ნაომარი“, ჩალეწილი შუშები, 2006-2008 წლებში, ქარხნის ფონდები, ტექნოლოგია, დანადგარები იყო მორალურად მოძველებული და ფიზიკურად გაცვეთილი, ქარხანა იყო მთლიანად 30-35 წლით ჩამორჩენილი იმ დროის მოთხოვნებს. მაგრამ ამავე დროს საშუალო ფენა და მუშები, იყვნენ წესიერი შემსრულებლები, კოლექტივთან სასიამოვნო იყო მუშაობა. ავთანდილ საყვარელიძე ხედავდა პერსპექტივას, მას ჰქონდა ჩამოყალიბებული სტრატეგიული გეგმა და ისინი ერთობლივად შეუდგნენ ამ გეგმის დახვეწას. ერთად აწარმოეს რამდენიმე ელექტრო მატარებელი. მაგრამ ეს იყო პირველი ნაბიჯები, თუმცა ეს პროცესები ბოლომდე ვერ მიიყვანეს. მას მისცეს სრული თავისუფლება თავის სფეროში, მიიღო გარანტიები, რომ გარკვეული თანხები დაიხარჯებოდა ქარხნის ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, შეისყიდეს კომპიუტერები, მაგრამ როცა გამოჩნდა „გარიჟრაჟი“, მაშინ დაიწყო სერიოზული პრობლემები. ქარხნის ძირითადი პარტნიორი იყო შპს „საქართველოს რკინიგზა“, რომელთან ერთადაც გააკეთეს არაერთი სერიოზული პროექტი, თუმცა ყველა შესრულებულ სამუშაოზე, ანაზღაურება ვერ მიიღეს, ეს იყო გაუგებარი. მან ა. საყვარელიძეს უთხრა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ ცალკე ამას ვერ გაბედავდა, რომ ეს მოდიოდა ზემოდან. ქარხანა გადავარდა ვალებში. დაიწყეს ჯარიმების წარდგენა რკინიგზიდან, მაშინ როცა ქარხანა პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. იყო შემთხვევა როცა ქარხანამ გააკეთა მატარებელი, რომელიც ეხლაც დადის, რკინიგზა-აეროპორტის რეისზე, მაგრამ დამკვეთმა შპს „საქართველოს რკინიგზამ“ თანხა არ გადაიხადა. ეს იყო პოლიტიკური საკითხები.

მოწმის ჩვენების თანახმად, ის წაიყვანეს ფინანსურ პოლიციაში, „წათრიესსავით“, 2008 წლის ბოლოს, იქ ძალიან უტაქტოდ დახვდნენ, უხეზად მიმართავდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ, აიძულებდნენ გაეკეთებინა ისეთი საბუთი, რომელიც დაადასტურებდა, თუ ქარხანას რამდენი უნდა დაეხარჯა 1 ვაგონის რემონტზე და რამდენს ხარჯავდა. მან უთხრა, რომ რკინიგზას უნდა მოეწოდებინა სრულად დაკომპლექტებული ვაგონები, თუმცა ქარხანაში შედიოდა სრულად გამარცვლი ვაგონები. აძლევდნენ შემჭიდროვებულ ვადებს, რაც იყო სრული უკანონობა. როდესაც ქარხანაში დაიწყეს „სტუმრებმა“ სიარული, მაშინ დაიწყო პრობლემები, ეს იყო ქარხნის ხელოვნური ბლოკირება. საწარმოს ჰქონდა კარგი სტრატეგიული გეგმა და ეს პრობლემები არ უნდა

წარმოქმნილიყო. ითხოვდნენ ა.საყვარელიძის მაკომპრომიტირებელ დოკუმენტებს, რამდენიმე დღეში მისთვის ცნობილი გახდა, რომ საყვარელიძე შუალამისას წაიყვანეს და რაღაცეებზე ხელი მოაწერინეს. თვითონ ხელშეკრულების გაფორმებას არ დასწრებია, დეტალები გადმოცემით იცის. შემდეგ ავთანდილ საყვარელიძემ და მირიან დეკანოიძემ მას უთხრეს, რომ ქარხანა წაართვეს, რაზეც მთელი კოლექტივი იყო აღშფოთებული. შეიცვალა ქარხნის მესაკუთრე. ამის შემდეგ ქარხნიდან წამოვიდა.

მოსარჩელის მოწმე არჩილ სიღამონიძის ჩვენებით, ის შპს „თ.ჯ თრეიდში“ მუშაობდა, საბაჟო განყოფილების ექსპერტად, 2003 წლიდან 2009 წლის დასაწყისამდე. 2008 წლის სექტემბერში, კომპანიის გენერალური დირექტორი, დავით აბრამაშვილი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ავთანდილ საყვარელიძე წაიყვანეს ჯერ ბანკში, მერე ნოტარიუსში, სადაც მოხდა ქონების იძულებით დათმობა. მოწმემ განმარტა, რომ ის ოფისში იყო, როცა წაიყვანეს. ა.საყვარელიძის ოჯახს ემუქრებოდნენ, იყო დევნა, რომ გადაეფორმებინათ ქონება. ის თავად შეესწრო, საწარმოს ოფისში ბევრნი რომ შემოვიდნენ და ა. საყვარელიძე წაიყვანეს ნოტარიუს ა.ზოიძესთან და იძულებით გადააფორმებინეს ქონება, რაც მისთვის მოულოდნელი იყო.

მოსარჩელის მოწმე ბადრი ნიაურმა განმარტა, რომ ადვოკატია და აქვს კერძო პრაქტიკა. ადრე მუშაობდა „ელექტროვაგონშემკვეთებელი ქარხნის“ იურიდიული სამსახურის უფროსად - 2005 წლის 28 ივნისიდან 2008 წლის 17 სექტემბრამდე.

სადავო გარიგების გაფორმებას, ყველაზე ნაკლებად შეიძლება ეწოდოს გარიგების დადება. 2008 წლის 08 აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ზუსტად 1 თვეში, 8 სექტემბერს, შპს „თ.ჯ თრეიდის“ ოფისში იყო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ზურა გოთუა, პაატა ლობჯანიძე, როგორც შპს „მატის“ იურიდიული ფირმის წარმომადგენლები, არაოფიციალურად ზურა გოთუა იყო ბადრი წილოსანის წარმომადგენელი, ასევე ესწრებოდნენ იოსებ მგელაძე, რომელიც იყო დავით კეზერაშვილის მარჯვენა ხელი, კოორდინატორი და ბიზნესების კურატორი, ასევე ირაკლი წილოსანი, ბადრი წილოსანის შვილი, ბადრი წილოსანი. სამუშაო ფორმატში მიიღეს მითითება, რომ ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო, რომ შპს „თ.ჯ თრეიდის“ აქციები გადაფორმებულიყო მხარეზე და ნოტარიუს ოთარ ზოიძის ოფისში უნდა გაფორმებულიყო გარიგება.

ფორსირებულ რეჟიმში დაიწყო დოკუმენტაციის შეგროვება. მაშინ არ იყო საჯარო რეესტრი ელექტრონულად რეფორმირებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი მისვლა და დოკუმენტის დასრულება ერთმანეთს ემთხვეოდა. ხვდებოდა, რომ დავალება იყო სახელმწიფო მაღალჩინოსნებიდან, ამას გრძნობდა სოსო მგელაძისგან, რომელიც დავალებებს აძლევდა. მისგან იყო ყოველდღიური კონტროლი - იყო თუ არა ნოტარიუს ზოიძესთან ოფისში, მომზადდა თუ არა საჯარო რეესტრიდან ყადაღა და ა.შ. სოსო მგელაძე ეუბნებოდა, რომ თუ ყველაფერი სათანადოდ არ გაკეთდებოდა, მასაც ის მოუვიდოდა, რაც ა.საყვარელიძეს. ერთ-ერთ დღეს ირაკლი წილოსანმა დაურეკა და უთხრა, რომ დოკუმენტაცია ფერხდებოდა და ხომ არ ავალეხდა ამას ავთანდილ საყვარელიძე, რაზეც საკადრისი პასუხი გასცა. ოფისში როცა მივიდა, უთხრეს

ყველაფერი ისმინებაო, თუ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანო, დაემუქრა ა.საყვარელიძის ოჯახის განადგურებით. ამ საუბარს წინ უძღოდა სამი შემოწმება ფინანსური პოლიციის და პროკურატურის. ამ ყოველდღიურ პროცესებში თვითონაც ჩართული იყო. 2008 წლის 17 სექტემბერს, როგორც კი მივიდა ოფისში, 10-11 საათი იყო, მოვიდა ზაზა ჯმუხაძე, რომელიც იყო ფინანსური პოლიციის ჩინოსანი და მუდმივად ცდილობდა, მხარესთან კომუნიკაციაში შესულიყო, მოვიდნენ ჯიპებით. შევიდნენ ა. საყვარელიძესთან და უთხრეს, უნდა წავიდეთო. ა. საყვარელიძემ ყველა ნივთი, საათი, „ცეპი“ მოიხსნა, საფულე დატოვა. მანქანაში ჩასხდნენ ავთანდილ საყვარელიძე, მირიან დეკანოიძე, წინ ზაზა ჯმუხაძე და მოწმე (ბადრი ნიაური). წავიდნენ ევროპული სკოლის მიდამოებში, „შანხაისთან“, „დელისთან“, სადაც იყო ბეჟუაშვილის მფლობელობაში არსებული სკოლა. ფინანსური პოლიცია ეძებდა ვ.ჭეიშვილს, ფორმალური აქციების გადასაფორმებლად. შპს „თ.ჯ თრეიდის“ მხარისგან გაცხადებული ჰქონდათ თანხმობა, აქციები ისე გადაფორმდებოდა, როგორც მათ სურდათ. გზაში ოპერატიულ ორგანოებთან კავშირის დროს, ზ.ჯმუხაძემ სთხოვა მ.დეკანოიძეს დაერეკა ვ.ჭეიშვილის ვაჟისთვის. ტელეფონები მოსმენებზეა და ვაჟი თუ უპასუხებს ტელეფონს, გავიგებთ, სად არისო. სკოლასთან იყო სკოლის დაცვა, სადაც იკითხეს, ხომ არ იცოდნენ ვ.ჭეიშვილი სად იყო. უხილავი თვალითაც ჩანდა, რაღაც ოპერაციას ატარებდნენ. ამის შემდეგ წავიდნენ ვ.ჭეიშვილის საცხოვრებლისკენ. საბოლოოდ ვერ გაარკვიეს სად იყო ვ.ჭეიშვილი, სახლში არ იყო და წავიდნენ ოფისში. ზ.ჯმუხაძემ ჰკითხა მოწმეს ვ.ჭეიშვილის პირადი ნომერი, რომელიც მისცა. ამის შემდეგ ჯმუხაძემ დაურეკა ვიღაცას და გასცა განკარგულება, რომ ვ.ჭეიშვილს ქვეყნის გარეთ ფეხი არ უნდა გაედგა, რადგან წილების ნახევარი იყო შპს „თ.ჯ თრეიდის“ და ნახევარი ვ.ჭეიშვილის. შპს „თ.ჯ თრეიდის“ წილები უნდა გადაფორმებულიყო, რისთვისაც ნანა რუსიშვილისა და ქეთევან ცინცაბაძის თანხმობა იყო საჭირო, დირექტორზე უფლებამოსილების დელეგირება, რომ დირექტორ დავით აბრამაშვილს გაეყიდა ეს აქციები. მივიდნენ ნოტარიუს ა.ზოიძესთან, სადაც უკვე იყვნენ პაატა ლობჯანიძე და ნოტარიუსი ოთარ ზოიძე. ამ დროს პ.ლობჯანიძე ხმამაღლა უკითხავდა გარიგების ტექსტს ბ.წილოსანს. ქეთევან ცინცაბაძემ და ნანა რუსიშვილმა ხელი მოაწერეს თანხმობის ტექსტს.

მოწმე კვლავ დაბრუნდა შპს „თ.ჯ თრეიდის“ ოფისში, იმიტომ რომ მეორე ნაწილი ე.წ. გარიგების კონტურების არ ჩანდა. სავარაუდოდ სალამოს 8 საათისთვის ატყდა ჩოჩქოლი, ზ.ჯმუხაძეც იქ იყო. უთხრეს, რომ ისევ უნდა წასულიყვნენ ნოტარიუსის ბიუროში, რათა გარიგების მეორე ნაწილზეც ხელი მოეწერათ.

ა. საყვარელიძეს ნოტარიუსთან არაფერი ესაქმებოდა, რადგან ის არ იყო ხელმომწერი დოკუმენტებზე. ნოტარიუსთან მივიდნენ ბ.ნიაური და ა.საყვარელიძე, სადაც მათ დახვდნენ ბადრი წილოსანი და ოთარ ზოიძე. მხარეები იყვნენ დაპირისპირებული. ძირითადი ხელშეკრულების დადებას ესწრებოდნენ - ბადრი წილოსანი, დავით აბრამაშვილი (დირექტორი), ავთანდილ საყვარელიძე, ნოტარიუსი აკაკი ზოიძე. ქალბატონები - ქეთევან ცინცაბაძე და ნანა რუსიშვილი, უკვე იქ აღარ იყვნენ. ითქვა, როდესაც მოხდებოდა გარიგების ორივე ნაწილზე ხელმოწერა, ბადრი ნიაურს უნდა დაერეკა ბანკში დავით აბრამაშვილთან, დაედასტურებინა გარიგებაზე ხელმოწერა, რათა ბანკში პირველი ტრანზაქცია განხორციელებულიყო. ეს ყველაფერი ხდება 2008

წლის 17 სექტემბერს. პროცესს ესწრებოდა ბროკერი, შპს „ბონა +“-ს წარმომადგენელი, გიგა მჭედლიშვილი.

საღამოს, მოლოდინში, გაისმა ხმა, შემოიყვანეს ვ.ჭეიშვილი და სამი პირი, დაფარული სახეებით. იყვნენ იარაღებით. ერთ-ერთმა ჰკითხა ნოტარიუსს, ყველაფერი რიგზეა? ნოტარიუსმა დაუდასტურა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ვ.ჭეიშვილი დასვეს სკამზე. ნოტარიუსმა ჰკითხა ძალადობას ხომ არ აქვს ადგილი. ა. საყვარელიძემ ხუმრობით უთხრა, რას ამბობთ ბატონო ოთარ, რა ძალადობაო. ვ.ჭეიშვილმა უპასუხა ძალადობას არ აქვს ადგილი, მაგრამ პირადობა არ ჰქონდა. ბორკილებიც ეკეთა. ერთ-ერთმა ფეხი ჩაარტყა მთელი ძალით და უთხრა, რასაც გეუბნებით ის გააკეთეო. ვ.ჭეიშვილმა უთხრა მისი პირადობა სახლის სეიფში იყო. ამაზე სამივე ნიღბიანმა გულიანად გადაიხარხარა, სეიფიანად მოგიტანთო. ვ.ჭეიშვილს სახლში დაარეკინეს. ვ.ჭეიშვილმა ტელეფონზე უთხრა, ისინი მოვლენ ვინც წამიყვანა და პასპორტი გამოატანეთო. წავიდნენ და მოუტანეს პასპორტი თუ პირადობა.

მოწმის განმარტებით, მას რეგისტრატორმა ჩუმად უთხრა, თუ უნდოდა, ამ გარიგებას არ გააფორმებდა, მაგრამ მოწმემ უთხრა, რომ თუ ეს გარიგება არ დაიდებოდა ოჯახებს გაწყვიტავდნენ. ვ.ჭეიშვილმა თქვა, რომ ამ გარიგებას ხელს მოვაწერ, მაგრამ მერე ისე არ მოხდეს, რომ შპს „თ.ჯ. თრეიდს“ პრეტენზიები ჰქონდეს ჩემთანო. ვ.ჭეიშვილი ამის სანაცვლოდ რაღაც ვალს ასახელებდა. ნოტარიუსმა ა.ზოიძემ უთხრა მოწმეს შეადგინე გარიგების ტექსტიო. ვ.ჭეიშვილმა აზრი ჩამოაყალიბა, ა.საყვარელიძე მიეხმარა და ცალკე თანხობა შედგა, რომ შპს „თ.ჯ. თრეიდს“ არ ექნებოდა პრეტენზიები ვ.ჭეიშვილის მიმართ. როცა გარიგება დამთავრდა, ვ.ჭეიშვილი იგივე ესკორტმა წაიყვანა, ა.საყვარელიძეც გავიდა და ოფისში დარჩნენ ბადრი ნიაური, ბადრი წილოსანი და აკაკი ზოიძე, ბონა+-ს წარმომადგენელი. ბოლოს ბადრი ნიაური და ბადრი წილოსანი ფეხით წავიდნენ სს „თიბისი ბანკის“ ოფისში, სადაც დახვდნენ წილოსანის სიძე ლადო აბულაძე, შვილი ირაკლი წილოსანი, შპს „თ.ჯ. თრეიდის“ დირექტორი დავით აბრამაშვილი. იქ იყვნენ ასევე ბანკის წარმომადგენლები ვახტანგ ბუცხრიკიძე, პაატა ჩიტორელიძე, მერაბ არჩვაძე. ეს გარიგება ხდება ღამე, 10-11 საათზე, ტრანზაქციებიც ამ დროს განხორციელდა. ბანკიდან, რომ გამოვიდნენ უკვე ღამის 12 საათი იქნებოდა დაწყებული. ბანკში განხორციელდა შემდეგი ტრანზაქცია, თანხა გადაირიცხა „ქართუ ბანკში“. შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ანგარიშზე, ვითომდა ამ გარიგების საზღაური და შემდეგ მეორე დღეს „ბანკი ქართუდან“ გადმოირიცხა ისევ სს „თიბისი ბანკში“, კრედიტის სანაცვლოდ. ზუსტად არ იცის ვისი იყო ეს კრედიტი. სავარაუდოდ იყო ფიზიკური პირების კრედიტები. ამის შემდეგ ავთანდილ საყვარელიძემ დატოვა საზღვარი და წავიდა ემიგრაციაში. ამ ამბების შემდეგ, რამდენიმე დღეში, ერთ საღამოს, დაურეკა ირაკლი წილოსანმა და შეხვედრა სთხოვა. ქარხანაში შედგა შეხვედრა ბადრი წილოსანს, მის შვილებს ირაკლი წილოსანს და ნინო წილოსანს, სიძეს ლადო აბულაძეს, გურამ რატიანს, დავით აბრამაშვილს და ბადრი ნიაურს შორის. ბადრი წილოსანმა განმარტა, ასე არ მინდოდაო, არ ვიომოთო. ბ.ნიაურმა უპასუხა, რომ იარაღით თქვენ დგახართ, მოძალადეები თქვენ ხართ და მე პასტით და ფურცლით როგორ უნდა გეომოთო. ამ ურთიერთობას მე და ავთანდილ საყვარელიძე გავარკვევთ ერთმანეთშიო. ეს ნიშნავდა იმას, რომ თუ გასაქცევი ჰქონდათ უნდა გაქცეულიყვნენ, თუ არადა უნდა

გაჩუმებულიყვნენ. ამის შემდეგ, ავთანდილ საყვარელიძის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლის საქმის წარმოება, იმ საბაზით თითქოს მან კრედიტის აღებით, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, ბადრი წილოსანს, როგორც, ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს მიაყენა ზიანი და ასე დაუსწრებლად დაიწყო ა.საყვარელიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე და შეეფარდა პატიმრობა.

მოსარჩელის მოწმე გიორგი ყავლაშვილის ჩვენების მიხედვით, მუშაობს საადვოკატო ბიუროში. შპს „თ.ჯ. თრეიდი“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი პირები წარმოადგენდნენ მის კლიენტებს. იყო სამოქალაქო დავა და სისხლის სამართლებრივი დევნაც. ამ ორივე საქმეში იყო ჩართული. დავა იყო აქციების გადმოცემასთან დაკავშირებით. სამოქალაქო დავა ეხებოდა რკინიგზის მხრიდან ვალდებულების შესრულების მოთხოვნას სასარჩელო წესით, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა საწარმოს მფლობელების მიმართ სისხლის სამართლის დევნა. ეს ორი თემა ერთმანეთთან იყო შემხებლობაში ემოციურად. იყო მოთხოვნა, რომ ქონებრივი დავა შეეწყვიტათ. ამით აიხსნება მისი მარწმუნებლის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება. რადგან იყო დევნის ფაქტები და მის მარწმუნებლებს სურდათ, რომ ეს დევნა შეწყვეტილიყო, ზოგი ქვეყნიდან გავიდა, იყო სერიოზული დისკომფორტი. საგამომიებო ორგანოს აქტიური სამართლებრივი კონტროლი ვრცელდებოდა ქარხნისა და მათი ხელმძღვანელების მიმართ.

მოწმის განმარტებით, მისი მარწმუნებელი დიდ იმედებს ამყარებდა სარჩელზე, სურდა შედეგის დადგომა, მაგრამ მერე მოხდა სარჩელის სასამართლოდან გამოთხოვა. მოწმემ ზუსტად ვერ გაიხსენა ვინ გამოითხოვა სასამართლოდან სარჩელი, შეიძლება თვითონ ან შესაძლებელია ქარხნის დირექტორმა. აქციების გადაფორმების ეტაპზე ის აღარ წარმოადგენდა მის მარწმუნებლებს, თუმცა რამდენადაც მისთვის ცნობილია მათი ნება არ იყო, რომ აქციები გაესხვისებინათ. მათ ამის სურვილი არ ჰქონდათ. მოწმემ განმარტა, რომ მას მარწმუნებლებთან ჰქონდა კონტაქტი და ქვეყნის ფარგლებს გარეთ წასვლა არ იყო მათი საუკეთესო გადაწყვეტილება.

მოწმემ სხდომაზე დაადასტურა, რომ საქმეში წარმოდგენილი მისი ახსნა-განმარტება ნამდვილია, ხელმოწერელია მის მიერ (იხ. გიორგი ყავლაშვილის ახსნა-განმარტება, საქმის ტომი I, ს.ფ. 284).

მოსარჩელის მოწმე ნიკოლოზ ბაკაშვილის ჩვენების თანახმად, მუშაობს მის მიერ დაფუძნებულ აუდიტორულ კომპანიაში შპს „ბაკაშვილი და აუდიტური კომპანია“. 2008 წლის 17 სექტემბრისთვის მუშაობდა, უკვე დაფუძნებული ჰქონდა კომპანია და პარალელურად მუშაობდა ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, გადახდისუუნარობის რეჟიმიდან გამოდინარე მეურვედ. იცოდა ვინ იყვნენ აქციონერები, ერთ-ერთი იყო შპს „თ.ჯ. თრეიდი“. რაც შეეხება აქციების გადაფორმების პროცესს მას არ დასწრებია, თუმცა გადაფორმების პროცესის მეორე დილით მისთვის ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა. გაიგო, რომ მოხდა ქეთი ცინცაბაძის, ავთანდილ საყვარელიძის და მესამე პიროვნებას, რომელსაც არ იცნობდა, მათი მიყვანა ბანკში და წილების გადაფორმება. ამის შესახებ უთხრა ფინანსურმა მენეჯერმა თემურ გაჩეჩილაძემ, ბადრი ნიაურმა და ამას ამბობს

მათ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მოხდა აღნიშნული პირების მიყვანა „თიბისი ბანკში“ და წილების იძულებით გადაფორმება სხვაზე. გაყიდეს თუ რა ფორმით მოხდა, ეს არ იცის. თუმცა როგორც იცის, აქციების გადაფორმება მოხდა მათი სურვილის გარეშე.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოება რომ დაიწყო, ის დაინიშნა ქარხნის მეურვედ. ამ პერიოდში, ქარხნის ხელმძღვანელობის მიზნები მისთვის ცნობილი იყო, ლეზულობდნენ ტენდერებში მონაწილეობას, იყო ახალ-ახალი პროექტების განხორციელების მცდელობა, რაც მასთან, როგორც მეურვესთან, თანხმდებოდა. ამიტომ მისთვის აქციების გაფორმების თემა იყო მოულოდნელი. რაც შეეხება ურთიერთობას ახალ ხელმძღვანელობასთან, ვინაიდან ის სასამართლოს მიერ იყო მეურვედ დაინიშნული, აქედან გამომდინარე, მას გარკვეული პერიოდი მოუწია ახალ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა, და მეურვის ფუნქციების შესრულებაც. შემდეგ მალევე დატოვა ეს თანამდებობა, თავისი ნებით არ წამოსულა, გადაწყვეტილება მიიღო კრედიტორთა კრებამ. თუმცა იქ ნამდვილად ვერ დარჩებოდა. იყო გარკვეული სუბიექტური მომენტები, რის გამოც, იქ ნებითაც არ დარჩებოდა.

მოწმემ განმარტებით, საწარმოს ჰქონდა ვალდებულებები, მაგრამ არსებობდა სრული პოტენციალი იმისა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. მიუხედავად გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისა, კომპანია მაინც ლეზულობდა ტენდერებში მონაწილეობას. ქარხანას ჰქონდა „თიბისი ბანკისა“ და ბანკი „რესპუბლიკას“ ვალი. ქარხნის რეაბილიტაციის პროცესი არ დაწყებულა მისი მეურვეობის დროს. მასთან საუბრისას არც ერთ აქციონერს, აქციების გასხვისებაზე არაფერი უთქვამს, პირიქით, საუბარი იყო ქარხნის მდგომარეობიდან გამოყვანაზე.

მოპასუხე მხარის მოწმეებმა სასამართლო სხდომაზე განმარტეს შემდეგი:

მოწმე ოთარ ზოიძის ჩვენების თანახმად, დოკუმენტის მომზადება სთხოვა პაატა ლობჯანიძემ, რომელსაც ადრეც იცნობდა, ამ საქმეში ჩართული იყვნენ ორივე მხარის ადვოკატები, პაატა ლობჯანიძე და ბადრი ნიაური. კონტრაქტზე მუშაობა გაგრძელდა დაახლოებით 10 დღე, 2 კვირა. ასეთ რთულ გარიგებებს დღეების მანძილზე ამზადებს. კონტრაქტს ამზადებს, აძლევს მხარეებს, ისინი აკეთებენ შენიშვნებს. მხარეებს ერთ მუხლზე ჰქონდათ დავა, ქარხანას ჰქონდა დებიტორული დავალიანება და მყიდველი ითხოვდა, რომ რასაც აუდიტორი დაადასტურებდა, იმ ვალებზე პრეტენზია არ ექნებოდა გამყიდველთან, მაგრამ თუ მერე აღმოჩნდებოდა სხვა ვალებიც ამაზე ექნებოდა პრეტენზია. ეს არის კონტრაქტის მე-4 მუხლის, მე-8 პუნქტი. ეს იყო უთანხმოების ძირითადი მიზეზი, სხვა არაფერი. როცა შეთანხმდნენ კონტრაქტის ტექსტზე, მან მხარეებს მოსთხოვა დოკუმენტების შეგროვება. ეს დოკუმენტები სხვადასხვა დღეს მიჰქონდათ ბადრი ნიაურს და დავით აბრამაშვილს. მაგ: „თ.ჯ თრეიდმა“ წარმოადგინა ამონაწერი რეესტრიდან 15.09.2008 წელს, შემდეგ აქციონერთა რეესტრიდან წარმოდგენილია 16.09.2008 წელს, ეკონომიკის სამინისტროდან წარმოადგინეს თანხმობა წილის გასხვისებაზე 17.09.2008 წელს. ბადრი ნიაურს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წერს წერილს ასევე 16 სექტემბერს. როცა ყველა საბუთი

შეიკრიბა, დათქვეს შეხვედრა. 17 სექტემბერს, მოვიდნენ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ პარტნიორები ქალბატონები, ნ.რუსიშვილი და ქ.ცინცაბაძე, სავარაუდოდ მათ ახლდათ დ.აბრამაშვილი. თანხმობის ტექსტი (თ.ჯ. თრეიდის პარტნიორებმა დირექტორს მისცეს აქციების გასხვისების თანხმობა) გამზადებული ჰქონდა, მათ მოაწერეს ხელი თანხმობას და წავიდნენ.

მოწმემ განმარტა, რომ ამის შემდეგ წავიდა სს ბანკ „რესპუბლიკაში“, იქ დაამოწმა ბანკი რესპუბლიკის თანხმობა აქციების გასხვისებაზე, იმიტომ რომ 25-25% პაკეტი აქციების იყო დაგირავებული სს ბანკ „რესპუბლიკაში“, რამდენიმე მილიონი დოლარის სანაცვლოდ, ამიტომ ბანკის თანხმობა საჭირო იყო. მიიღო ეს თანხმობა, ბანკი „რესპუბლიკის“ სათავო ოფისში. შემდეგ წავიდა „ეიჩზისი ბანკში“, რუსთაველის 15-ში, იქ დაახლოებით 7-8 სანოტარო მოქმედებდა შესრულებული. 6 საათისთვის დაბრუნდა თავის ოფისში. ამ დროისთვის ჰქონდა დაგეგმილი შეხვედრა ოფისში, სადაც მოვიდნენ ბ.წილოსანი, დ.აბრამაშვილი, ა.საყვარელიძე, ბ.ნიაური და რეგისტრატორი. კონტრაქტი წაიკითხეს, იყო მშვიდი სიტუაცია, სანამ ხელი მოაწერეს და სანამ ხელშეკრულება აიკინდა, ეს ყველაფერი დამთავრდა 7-8 საათზე. ამ პერიოდში უნდა მოსულიყო ვ.ჭეიშვილი, მან დააგვიანა, დაახლოებით ელოდებოდნენ 1 საათი. ამის გამო მხარეებს შესთავაზა ხელშეკრულების ხელმოწერის გადადება, მაგრამ იქ დამსწრეებმა უთხრეს, ვინ ზუსტად არ ახსოვს, რომ ვერ გადადებდნენ, რადგან, თუ დღეს ეს კონტრაქტი არ დამოწმდებოდა, მაშინ ეს ფული არ გადაირიცხებოდა და ბანკებს აქციები შეიძლება გაეტანათ აუქციონზე. იძულებული გახდა დალოდებოდა. სს ბანკი „რესპუბლიკა“ იყო ერთ-ერთი მსხვილი კრედიტორი, ასევე იყო სს „თიბისი ბანკი“. არ გაკვირვებია ვ.ჭეიშვილისგან დაგვიანება, რადგან მისგან დაგვიანება პირველი შემთხვევა არ იყო. დაახლოებით 9 საათზე მოვიდა ვ.ჭეიშვილი, კარი გააღო, ჩვეულებრივად შემოვიდა, ბ.წილოსანი იჯდა კარებთან ყველაზე ახლოს, ადგა, ხელი ჩამოართვა, პირზე კოცნით შეხვდნენ ერთმანეთს და ვ.ჭეიშვილი დაუჯდა ბ.წილოსანს პირდაპირ. აღმოჩნდა, რომ ვ.ჭეიშვილს არ ჰქონდა პირადობა. მაშინ ელექტრონული ბაზები არ იყო, და მის პიროვნებას ვერ შეამოწმებდა. უთხრა, რომ პირადობის მოწმობის გარეშე ვერ დაამოწმებდა ხელმოწერას. ვ.ჭეიშვილმა თქვა, რომ დაურეკავდა ოჯახის წევრს და მოატანიებდა პირადობის მოწმობას. მან დარეკა სახლში, ამასობაში მხარეებმა გააგრძელეს კონტრაქტის კითხვა. ვ.ჭეიშვილს ბორკილები არ ედო. მოწმემ ვერ გაიხსენა რა ეცვა ვ.ჭეიშვილს, მაგრამ მისი განმარტებით, მას არაფერი არ ეცვა ისე, რომელიც ექვს გამოიწვევდა ძალადობაზე. ყურადღება არ მიუქცევია, რომ უჩვეულო ჩაცმულობით იყო. ვ.ჭეიშვილს მოყვა დაცვა, ორი პიროვნება იყო, რომლებიც კუთხეში იჯდნენ. ნიღბები არ ეკეთათ. ვახტანგ ჭეიშვილმა ნოტარიუსის თანდასწრებით თავიდან ბოლომდე წაიკითხა კონტრაქტი და როცა კითხვა დაამთავრა, თქვა, დიახ ეს ისაა, რაზეც შევთანხმდით, მაგრამ მე ამ კონტრაქტზე არ მოვაწერ ხელს, სანამ ა.საყვარელიძე არ დამიდასტურებს, რომ ამ კონტრაქტის გამო, ჩემთან პრეტენზია არ ექნება. მოწმემ განმარტა, რომ მას გაუკვირდა, რადგან ა.საყვარელიძეს არ იცნობდა, რომელიც არც პარტნიორი იყო შპს „თ.ჯ. თრეიდის“, არც კომპანიის დირექტორი და არც აქციონერი და საერთოდ ამ საქმესთან შეხება არ ჰქონდა. ვ.ჭეიშვილმა უთხრა ნოტარიუსს, რომ მათ თავიანთი ურთიერთობები აქვთ და ეს ნოტარიუსის საქმე არ იყო,

მთავარია მას ხელმოწერები დაემოწმებინა.

ნოტარიუსმა შესთავაზა ვ.ჭეიშვილს, რომ თუ მისი საქმე არ იყო, მათ ადვოკატს ბადრი ნიაურს შეედგინა ტექსტი და ის ხელმოწერებს დაუმოწმებდა. ბადრი ნიაური დაჯდა ნოტარიუსის კომპიუტერთან, გააკეთა ტექსტი, რომელზეც მოაწერეს ხელი და ნოტარიუსმა დაამოწმა ხელმოწერები. ეს კონტრაქტი გააკეთეს სამი ეგზემპლარი. პროცედურები დასრულდა დაახლოებით ღამის 10 საათზე. დაცვიდან ერთი ან ორივე წავიდა პირადობის მოწმობის მოსატანად. მოწმემ სეიფის არსებობა ვერ გაიხსენა.

ნოტარიუსის განმარტებით, არ უეჭვია, რომ რამე ძალადობას ჰქონდა ადგილი. რადგან პაატა ლობჯანიძეს იცნობს და ის იძულებით დადებულ გარიგებებში არასდროს იღებდა მონაწილეობას. ორივე მხარის ადვოკატს ცალ-ცალკე მის ოფისში ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონდა. ძალადობის მსგავსი არაფერი შეუმჩნევია. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი არ ჰქონდა. ნოტარიუსის ოფისში არ ყოფილა ისეთი ფაქტი, რაც მას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველს მისცემდა. გარეთ რა ხდებოდა, ნამდვილად არ იცის. არ დასჭირვებია და არ გასულა. თავიდან ოფისში მოვიდა პაატა ლობჯანიძე. შპს „თ.ჯ. თრეიდს“ ჰქონდა უზარმაზარი ვალები, კონტრაქტს თან ერთვის მეურვე ნიკო ბაკაშვილის მიერ გაცემული შეფასება, კომპანიის 64 მილიონ ლარიანი დავალიანების შესახებ, ამიტომ აქციების ფასში ეჭვი არ შეპარვია. დებიტორული დავალიანება დაახლოებით 45 მილიონი ლარი იყო, რომლის დიდი ნაწილი დაახლოებით 26 თუ 28 მილიონი ლარი შპს „თ.ჯ. თრეიდს“ დავალიანებაა, რომელსაც აქციები ჰქონდა დაგირავებული 3 მილიონ დოლარად და რომელიც ყიდდა ამ აქციებს. ნასყიდობის ფასი კომერციულად საეჭვო არ იყო. თან საწარმო იყო გაკოტრების რეჟიმში, ე.ი. არ ჰქონდა გადახდის საშუალება. ამიტომ ფასში ეჭვი არ შეპარვია. ამ მოცემულ შემთხვევაში, ყველა პარამეტრი ჰქონდა, რომ ეს გარიგება ნამდვილად გარიგებად მიეჩნია.

მოპასუხის მოწმე გურამ რატიანის ჩვენების თანახმად, მუშაობს ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დირექტორად. 2008 წლის სექტემბერში მუშაობდა რუსთავის ვაგონშემკეთებელ კომპანიაში, დირექტორის მრჩეველად.

აქციების გადმოფორმების საკითხთან დაკავშირებით, მოწმემ განმარტა, რომ გადამოფორმებამდე 1-1.5 თვის მანძილზე მიდიოდა საუბარი ამ აქციების შეძენაზე. ქარხანა იყო გაკოტრების რეჟიმში, ბადრი წილოსანი ფლობდა აქციების 47%-ს. ხელშეკრულების დადების კვირაში უფრო ინტენსიურად მიდიოდა საუბარი, ხელშეკრულების მომზადებასთან დაკავშირებით. წინა დღით თქვა ბადრი წილოსანმა, რომ ხვალ იქნებოდა აქციების გადაფორმება. 17 სექტემბერს შეიკრიბნენ მარჯანიშვილის მოედანზე, ხიდთან, გურამ რატიანი, მამუკა დოლიძე, ბადრი წილოსანი და ლადო აბულაძე. ბადრი წილოსანმა ლადო აბულაძეს დავალება მისცა გადარიცხვებთან დაკავშირებით. ლადო აბულაძე წავიდა ბანკში. ბადრი წილოსანი ავიდა ნოტარიუსის ბიუროში, დანარჩენები იქ ელოდებოდნენ გადაფორმების დასრულებას. იქ ნოტარიუსის შენობაა, მე-2 თუ მე-3 სართულზე. მოვიდა ასევე დავით აბრამაშვილი, შემდეგ ავთანდილ საყვარელიძე ვიღაც ახალგაზრდასთან ერთად.

აქციების გაფორმება მოხდა 2 ეტაპად. ბადრი წილოსანი ბანკში წავიდა. როცა მობრუნდა უთხრა, რომ დალოდებოდნენ. 10 საათის მერე წავიდნენ ბანკში, დაბრუნდნენ და მიულოცეს. მოწმემ განმარტა, რომ 2008 წლის 26 სექტემბერს, დაინიშნა ქარხნის დირექტორად, ქარხანა გადაიყვანეს რეაბილიტაციის პროცესში და დღემდე მუშაობს.

მოწმემ განმარტა, რომ ძალადობის ნიშნები არ შეუნიშნავს, არც ძალოვანები დაუნახავს და არც შეიარაღებული პირები. ქარხანა იყო გაკოტრებული, ჰქონდა ვალები. არც ერთი კონტრაქტი რკინიგზასთან ბოლომდე შესრულებული არ იყო. მუშა-მოსამსახურეების, მათ შორის მენეჯერების ხელფასები გადახდილი არ იყო, რაც ახალმა ხელმძღვანელობამ გაისტუმრა. ძალადობას ადგილი არ ჰქონია, ძალადობით ბადრი წილოსანს გადააფორმებინეს აქციები ციხეში. ამ შემთხვევაში, განხორციელდა აქციების ნასყიდობა, ფული გადაუხადეს და ეს არ არის ძალადობა. დღეს ქარხანა მუშაობს, რეაბილიტაციის რეჟიმშია, ფარავენ ვალდებულებებს და იხდიან ხელფასებს. მენეჯმენტის დავალიანება დაფარეს და დარჩა მხოლოდ მუშა-მოსამსახურეების. ბანკების კრედიტები მთლიანად დაფარეს და დანარჩენს რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით დაფარავენ. თანამშრომლების სახელფასო დავალიანებას რაც შეეხება, ვინც მეორე რიგში იყო, იმათი დაიფარა, მე-7 რიგის თანამშრომლებს და მენეჯმენტს, როცა მოუწევს მაშინ დაუფარავენ. აქციები თავისუფალი ნებით გასხვისდა. ნასყიდობის ფასი მათ მიიღეს.

მოპასუხის მოწმე ვლადიმერ აბულაძის ჩვენების თანახმად, მუშაობს სს „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში“. 2008 წლის სექტემბერში მუშაობდა, შპს „ვაგონშემენებელ კომპანიაში“, ქალაქ რუსთავში, იყო ფინანსური დირექტორი. დაახლოებით 2008 წლის აგვისტოში მისთვის ცნობილი გახდა სიმამრის, ბადრი წილოსანისგან, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკება სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ აქციების ყიდვასთან დაკავშირებით. იმავე წლის სექტემბერში, როდესაც მოხდა ამ აქციების გადმოფორმება, მანამდე 1 დღით ადრე, ბადრი წილოსანმა დაუდასტურა, რომ მეორე დღეს მოსალოდნელი იყო ამ აქციების შესყიდვა და სთხოვა იმ დღეს, 17 სექტემბერს მისულიყო და მხარი დაეჭირა, ბანკში თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებით გაეკეთებინა მონიტორინგი. ბადრი წილოსანთან მივიდა მარჯანიშვილის ქუჩაზე, ბანკთან ახლოს, სადაც დახვდნენ მამუკა დოლიძე და გურამ რატიანი. ბადრი წილოსანმა უთხრა ბანკი გაფრთხილებული იყო, რომ უნდა მომხდარიყო თანხის გადარიცხვა და მოემზადებინა ყველაფერი. გადავიდა ბანკში და დაელოდა იქ ბადრი წილოსანის მისვლას. დაახლოებით 1-1.5 საათის შემდეგ, ბადრი გადავიდა, გაკეთდა საგადასახადო დავალება, ორიგინალი თან წაიღო და სთხოვა ცოტა ხანი კიდევ დალოდებოდა მეორე ტრანზაქციის გასაკეთებლად, ესეც იმ დღესვე უნდა მომხდარიყო, რადგან მეორე მხარე ითხოვდა თანხის რეალიზებას. გასვლიდან 1-2 საათში, დაბრუნდა ბადრი წილოსანი, ბადრი ნიაური, დავით აბრამიშვილი და ავთანდილ საყვარელიძე, ერთად მივიდნენ ბანკში, გაკეთდა მეორე გადარიცხვა და ამის შემდეგ დაემშვიდობენ ერთმანეთს.

აქციების გადაფორმებასთან დაკავშირებით, ეს მოლაპარაკება მიდიოდა 1 თვე ან 2 კვირა. ამის შესახებ იცოდა სიმამრისგან, ბადრი წილოსანისგან. თვითონ უშუალოდ

პროცესებში არ იღებდა მონაწილეობას. დამოკიდებულება იყო ჩვეულებრივი, ბადრი ნიაური ესწრებოდა გადარიცხვის პროცესს, ორიგინალი აიღო საგადასახადო დავალების და ჩვეულებრივ დაშორდნენ ერთმანეთს. მოწმემ ვერ გაიხსენა იყო თუ არა აგრესიული სატელეფონო ზარები. ლარებში მოხდა ტრანზაქცია, ეს იყო აქციების შესყიდვის საფასური. სამ მილიონზე მეტი იყო. საფასური ზუსტად არ ახსოვს. გადარიცხვა განხორციელდა ორ ტრანშად. პირველი გადარიცხვისას თანხა შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ანგარიშზე გადაირიცხა, მეორეც სავარაუდოდ იგივე ანგარიშზე გადაირიცხა. უშუალოდ ის ამ პროცესებში არ მონაწილეობდა, მაგრამ არ გაუგია, რომ იძულებას ჰქონდა ადგილი. რასაც შეესწრო, ასეთი არაფერი ყოფილა. იარაღიანი ხალხი არ უნახავს. მოწმემ აგრესიულად განწყობილი ან ფორმიანი და იარაღიანი ხალხის ყოფნა ვერ გაიხსენა. ბანკთან შეთანხმება განხორციელდა ბადრის წილოსანის მიერ. ბადრი წილოსანი „თიბისი ბანკის“ მსხვილი კლიენტი იყო, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ სს „თიბისი ბანკი“ გვიან 10-11 საათზე მუშაობდა. თანხის გადარიცხვის პროცესში მონაწილეობდა მხოლოდ იმიტომ, რომ რამე შეცდომა არ მომხდარიყო, უბრალოდ აკონტროლებდა პროცესს. მოწმემ არ იცის რატომ განხორციელდა გადარიცხვა 2 ტრანშად. მოწმის მოსაზრებით, შპს „თ.ჯ. თრეიდმა“ თავისი ნებით გადააფორმა აქციები.

მოკვასუხის მოწმე მამუკა დოლიძის ჩვენების თანახმად, მუშაობს რუსთავის ვაგონმშენებელ ქარხანაში, ტექნიკურ დირექტორად. აქციების გადაფორმების დროსაც წარმოების დირექტორად მუშაობდა ვაგონმშენებელ ქარხანაში. კარგად ახსოვს 17 სექტემბერი, რადგან ამ დღეს მისი დაბადების დღეა. ვინაიდან გაგრძელდა აქციების გადაფორმების პროცედურები, მისი დაბადების დღე ჩაიშალა. სამსახურის შემდეგ, ის და გურამ რატიანი ჩავიდნენ თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, სადაც იცოდნენ, რომ უნდა გაფორმებულიყო აქციები. შეხვდნენ ბადრი წილოსანს, ცოტა ხანი ისაუბრეს. მოვიდა ლადო აბულაძე. ბადრი წილოსანმა უთხრა ლადო აბულაძეს, რომ წასულიყო „თიბისი ბანკში“, რომ მიეხედა თანხების გადარიცხვებისთვის. ამის შემდეგ ბადრი წილოსანი შევიდა სანოტარო ბიუროში. ის და გურამი დარჩნენ. ჩასხდნენ მანქანაში, ელოდებოდნენ აქციების გადაფორმების დასრულებას. გავიდა საათზე მეტი, გამოვიდა ბადრი წილოსანი და უთხრა, რომ ჯერჯერობით ყოფილიყვნენ ადგილზე. ბადრი წილოსანი წავიდა „თიბისი ბანკში“, საიდანაც დაბრუნდა 20-30 წუთში და შევიდა ისევ ნოტარიუსის შენობაში. შემდეგ გამოიარა დავით აბრამაშვილმა, შპს „თ.ჯ. თრეიდის“ დირექტორმა, შევიდა შენობაში. მანქანით მოვიდნენ ბადრი ნიაური და ავთანდილ საყვარელიძე. ისინიც შევიდნენ ამ შენობაში. მოწმის განმარტების თანახმად, ფიქრობდა, რომ მალე დასრულდებოდა ეს საკითხი, მაგრამ დიდი ხანი მოუწიათ გაჩერება. ბანკში რა ხდებოდა არ იცის, არც ნოტარიუსის შენობაში შესულა. გადმოცემით იცის, რომ უნდა მომხდარიყო აქციების ნასყიდობის გაფორმება ბადრი წილოსანზე. შემდეგ, რომ შევიდა ბადრი წილოსანი, გავიდა საათი, საათნახევარი, გამოვიდა ბადრი წილოსანი და წავიდა „თიბისი ბანკში“. ამ პერიოდში ავთანდილ საყვარელიძე, ბადრი ნიაური და დავით აბრამაშვილი წავიდნენ ბანკისკენ. დაახლოებით ნახევარ საათში გამოვიდნენ ბანკიდან, ბადრი წილოსანმა თქვა, რომ ყველაფერი კარგად იყო. მიულოცეს, შემდეგ წავიდნენ სახლში.

მოწმის განმარტებით, პროცესში საექვო ან შეიარაღებული პირი არ დაუნახავს. წილის შესყიდვასთან დაკავშირებით, ერთი თვით ადრე მიდიოდა ამაზე საუბარი, მზადდებოდა ხელშეკრულებები, ეს იცოდა ბადრი წილოსანისგან. წილის გადაფორმება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ის და ბადრი ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან. ბადრი წილოსანი იმ საწარმოს დამფუძნებელია სადაც ის მუშაობს. ვახტანგ ჭეიშვილს იმ დროისთვის არ იცნობდა. ადამიანი საცვლებში არ დაუნახავს. ეს გარიგება მშვიდად და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გაფორმდა.

3.2.2. ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებების შეფასების შედეგად სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ სადავო ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ადგილი ჰქონდა მხარის იძულებას, აშკარა ჩარევას ნების გამოვლენაში. მოსარჩელების მოწმეთა ჩვენებები სასამართლოს სარწმუნო მტკიცებულებად მიაჩნია. აღნიშნული ჩვენებების საწინააღმდეგო უტყუარი მტკიცებულებები კი საქმეში არ არსებობს. მოპასუხის მოწმეების მიერ მიცემული განმარტებები არ ამტკიცებს სადავო გარიგების დადებას თავისუფალი ნების საფუძველზე.

მოწმეების ჩვენებებით ირკვევა, რომ იძულების განხორციელების პროცესში ჩართული იყო ფინანსური პოლიცია. იძულება ხორციელდებოდა აღნიშნული სამსახურის თანამდებობის პირების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ, როგორც ქვეყნის მაშინდელი თავდაცვის მინისტრის ინტერესების გამტარებლები და მისი მითითებების უშუალო შემსრულებლები. მუქარას, რომელიც ხორციელდებოდა შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ავთანდილ საყვარელიძისა და მისი ოჯახის წევრების, ასევე შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ერთ-ერთი წილის მფლობელის ქეთევან ცინცაბაძისა და მისი მეუღლის, მირიან დეკანოიძის მიმართ, რეალურ სახეს აძლევდა ის გარემოება, რომ აქციებით დაინტერესებული ფიზიკური პირის, ბადრი წილოსანის, უკან იდგა ძალოვანი სტრუქტურა, ფინანსური პოლიცია, სადაც სისტემატურად იბარებდნენ ზემოთ დასახელებულ პირებს. აღნიშნულ სამსახურში, შესაბამისი თანამდებობის პირების კაბინეტებში ხორციელდებოდა ზეწოლა, დამუქრება ოჯახის წევრების სიცოცხლით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდებოდა სადავო აქციების გადაფორმება ბადრი წილოსანის სახელზე. მუქარის რეალურობისა და იძულების არსებობის ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს, აქციების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ავთანდილ საყვარელიძისა და შპს „თ.ჯ. თრეიდის“ აქციების 50%-იანი წილის მესაკუთრე ქეთევან ცინცაბაძის და მისი მეუღლის, მირიან დეკანოიძის ემიგრაციაში წასვლა, რომლებმაც სხვა სახელმწიფოებს შეაფარეს თავი - ავთანდილ საყვარელიძეს ავსტრიის სახელმწიფომ მისცა თავშესაფარი, ხოლო ქეთევან ცინცაბაძესა და მირიან დეკანოიძეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. აღნიშნული პირები წლების განმავლობაში ვერ ბრუნდებოდნენ სამშობლოში, უფრო მეტიც, ავთანდილ საყვარელიძის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მას დაუსწრებლად შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების სახე - პატიმრობა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე სასამართლოს არ განუხილავს, ავთანდილ საყვარელიძის მიმართ არც კანონიერ ძალაში შესული განაჩენი არსებობს,

რომელიც დაადასტურებდა ამ პირის ბრალეულობას.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნისა“ და შპს „საქართველოს რკინიგზის“ ურთიერთობა. საქმეში წარმოდგენილია სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიერ შპს „საქართველოს რკინიგზისადმი“ მიწერილი წერილები, ქარხნის მიმართ არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თაობაზე, რაზეც შპს „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან საპასუხო მოქმედების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. ასეთივე შინაარსის წერილები გაიგზავნა ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის სახელზეც. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ საქმიანობის ძირითად ხაზს წარმოადგენდა ელექტროვაგონების შეკეთება და მშენებლობა, მისი უმთავრესი დამკვეთი იყო სწორედ შპს „საქართველოს რკინიგზა“. აქედან გამომდინარე, გარკვეულ ეჭვებს ბადებს შპს „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან გამოვლენილი დამოკიდებულება რეაგირების გარეშე დაეტოვებინა ქვეყნის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ისეთი მსხვილი მიმწოდებლის მიმართვე, როგორც იყო სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“.

სასამართლო განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებების გარდა, ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ ისეთი ზოგადი პრინციპებით, როგორცაა კეთილსინდისიერება და გულისხმიერება.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოვლენილი საეჭვო დამოკიდებულება, რაზეც ასევე მიუთითებენ მოწმეები, კიდევ ერთი დეტალია მოვლენების იმ ლოგიკური ჯაჭვისა, რამაც ქარხნის მფლობელები აიძულა სადავო აქციები გაესხვისებინათ მოპასუხე ბადრი წილოსანზე.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ დამოკიდებულებამ განაპირობა სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ მიერ სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა და სასარჩელო წარმოების წესით რკინიგზის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სასარჩელო განცხადების ასლით მოპასუხეების შპს „საქართველოს რკინიგზისა“ და სს „თიბისი ბანკის“ მიმართ და მოწმეების გიორგი ყავლაშვილისა და ბადრი ნიაურის ჩვენებებით, რომლებიც უშუალოდ წარმოადგენდნენ ქარხნის ინტერესებს სასამართლოში. სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ 2007 წლის 29 ნოემბრის სარჩელის სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღების შემდეგ, უმოკლეს დროში, 2007 წლის 11 დეკემბერს, სს „ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ“ სასამართლოს მიმართა განცხადებით სარჩელისა და თანდართული მასალების გამოთხოვის თაობაზე, რომელსაც საქმეში წარმოდგენილი განცხადების ასლის თანახმად, ხელს აწერდა ქარხნის მაშინდელი დირექტორი მირიან დეკანოიძე. სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სარჩელი უკან გამოხმობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული.

სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ მიერ შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობის, ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის სახელზე გაგზავნილი არაერთი წერილობითი მიმართვის შემდეგ, რომლებიც უპასუხოდ იქნა დატოვებული, ქარხნის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა საკუთარი უფლებების დასაცავად მიემართა სასამართლოსთვის. მომზადდა სარჩელი, რომელიც მტკიცებულებებთან ერთად წარედგინა სასამართლოს. აღნიშნული სარჩელით მოსარჩელე მოითხოვდა შპს „საქართველოს რკინიგზას“ მის სასარგებლოდ დაკისრებოდა დავალიანების - 9 588 388 ლარის გადახდა, ასევე მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 2 577 162 ლარის ოდენობით და უსაფუძვლოდ მიღებული სოლიდური თანხების უკან დაბრუნება. მოწმე გიორგი ყავლაშვილის ჩვენების თანახმად, ქარხნის მაშინდელი მფლობელები დიდ იმედებს ამყარებდნენ სარჩელზე და ჰქონდათ სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების მოლოდინი. აქედან გამომდინარე, ლოგიკურობას მოკლებულია და საფუძვლიან ექვს იწვევს ის გარემოება, რომ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ ხელმძღვანელობამ, რომელსაც ჰქონდა სასამართლოში დავის მოგების გონივრული მოლოდინი, სარჩელის წარმოებაში მიღებიდან რამდენიმე დღეში მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის გამოხმობის თაობაზე და აღნიშნული შუამდგომლობით წერილობით მიმართა სასამართლოს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სარჩელის გამოხმობის საფუძველი არ იყო რკინიგზის მიერ ვალდებულების შესრულება ან ისეთი სახის ქმედება, რაც განაპირობებდა უფრო მშვიდობიანი გზით, ვიდრე სასამართლოს მიერ საქმის განხილვაა, დავის დასრულებას. მითითებული გარემოება, ასევე, ქარხნის მფლობელებისა და ხელმძღვანელობის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი მოქმედებები, დაბარებები ფინანსურ პოლიციაში, დამუქრება ოჯახის წევრების სიცოცხლით, ფინანსური პოლიციის მიერ ქარხნის შემოწმებები, ქარხნის ინვენტარის დალუქვა და სამუშაო პროცესის შეფერხება, სასამართლოს უყალიბებს შინაგან რწმენას, რომ გარიგება დაიდო იძულებით და არა შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ხელმძღვანელობის თავისუფალი ნების საფუძველზე.

მოსარჩელე შპს „თ.ჯ. თრეიდის“ დირექტორმა დავით აბრამაშვილმა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მან სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა იძულებით, მუქარის შედეგად. ის მთელი ორი დღე-ღამის განმავლობაში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, იმყოფებოდა ფინანსურ პოლიციაში. ფინანსურ პოლიციას არაფერი ჰქონდა გამოსაკვლევი. პირდაპირ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ შვილებს უნდა გაფრთხილებოდა. მის გარდა იყვნენ საწარმოს დაფუძნებლები, რომლებზეც საკუთარი თვალთ ხედავდა როგორ ხორციელდებოდა ზეწოლა. ყველაფერი ახსოვს - საწარმოს ოფისში ვინ მივიდა, მათი სახელები, გვარები, ვის იარაღი ჰქონდა ვის არა. საკუთარ სახლებში ვერ მიდიოდნენ, რადგან იძულების განმახორციელებლებს არ ეფიქრათ იმალებოდნენ და ოჯახებზე არ გადასულიყო ზეწოლა. ეს არ იყო თამაში. ამ ყველაფრის ანალიზით მივიდნენ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოეწერათ. ვახტანგ ჭეიშვილიც ძალით მიიყვანეს ნოტარიუსის ბიუროში. ვახტანგ ჭეიშვილის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას პირადად ესწრებოდა. მაშინ გაკეთდა შპს „თ.ჯ. თრეიდთან“ ვახტანგ ჭეიშვილის შეთანხმება, რომ კომპანიას არ ექნებოდა პრეტენზია

ვახტანგ ჭიჭილაძე.

დავით აბრამაშვილის განმარტებით, მასთან, შპს „თ. ჯ თრეიდის“ კომპანიაში, მივიდა ს.მგელაძე და უთხრა, რომ 10 დღეში ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წავიდოდა, მაგრამ მოვიდოდნენ სხვები. მისი მოსაზრებით, წართმეული ქონება რა ღირებულებისაა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან იძულებით არ უნდა წაერთმიათ. მოსარჩელის მიერ ქონების დაბრუნების მოტივაცია სამართლიანობის აღდგენაა.

3.2.3. იძულების ფაქტის დამადასტურებელ ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს შპს „ჯეოსელის“ მიერ წარმოდგენილი სატელეფონო ზარების სია, რომლის თანახმად, ფინანსური პოლიციის თანამშრომლის მიერ 2008 წლის 01 აგვისტოდან 2009 წლის 01 იანვრამდე მობილური ტელეფონის ნომრებიდან 577 42 55 33 და 899 19 03 06 მოსარჩელე შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ავთანდილ საყვარელიძის მობილური ტელეფონის ნომრებზე 577 99 77 55 და 599 28 30 40 განხორციელდა სატელეფონო ზარები. წარმოდგენილი ცხრილიდან დასტურდება, რომ ავთანდილ საყვარელიძის მობილური ტელეფონის ნომრებზე 577 99 77 55 2008 წლის 17 სექტემბერს, ფინანსური პოლიციის თანამშრომლის მიერ განხორციელდა ათი სატელეფონო, 2008 წლის 18 სექტემბერს კი ერთი სატელეფონო ზარი, ხოლო მობილური ტელეფონის ნომრებზე 599 28 30 40 2008 წლის 18 სექტემბერს ერთი სატელეფონო ზარი.

მტკიცებულებას, რომელზეც მოსარჩელე ასევე მიუთითებს წარმოადგენს, სს „ელექტროვაგონშემკვეთებელი ქარხნის“ იურიდიული სამსახურის ყოფილი უფროსის ბადრი ნიაურის სატელეფონო ზარების დეტალური ამონაწერი, საიდანაც დგინდება სხვადასხვა პირების მიერ (პაატა ლობჯანიძე, ნიკო ბაკაშვილი, ირაკლი წილოსანი) ზარების განხორციელების ფაქტი სადავო გარიგებასთან დაკავშირებით (პერიოდი 01/08/2008-30/09/2008).

ზემოთ მითითებულ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ ვიდეო ჩანაწერზე, სადაც საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სს „ელექტროვაგონშემკვეთებელი ქარხანაში“ სატელეფონო გამოსვლისას, აღნიშნული ქარხნის თანამშრომლების დასწრების ფონზე, აღნიშნა, რომ სს „ელექტროვაგონშემკვეთებელი ქარხანა“ იყო დახურვის პირას, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა მანიპულაციებით, ხრიკებით და კომბინაციებით, აკეთებდნენ მილიონებს და რომ არ ჩარეულიყო საქართველოს მთავრობა, ქარხანა დაიხურებოდა. ყოფილმა პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ არავის არაფერი შერჩებოდა და ყველა აგებდა პასუხს, მიიყვანდნენ საქმეს სასამართლომდე.

სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები მეტ თვალსაჩინოებასა და სინათლეს მატებენ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ხელმძღვანელი პირების მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტს, რაც მოწმეების ჩვენებებსა და საქმის

სხვა მტკიცებულებებთან ერთად, სასამართლოს უქმნის რწმენას მოსარჩელე მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობაში.

3.2.4. სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხემ ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება. მოპასუხე დასაბუთებულად უნდა შეედავოს მოსარჩელის მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს. მოპასუხის შესაგებელი და წარმოდგენილი მტკიცებულებები კი ვერ ახატილებს გარიგების დასადებად მოსარჩელის მიმართ განხორციელებულ იძულების ფაქტს.

მოპასუხე შესაგებელში მიუთითებს, რომ კომპანია შპს „თ.ჯ. თრეიდს“ არ ჰქონდა მართვის ისეთი ორგანო, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭო, ამასთან, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ აქციების გასაყიდად სამეტაპიანი კონკურსი არ ჩატარებულა.

სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილი შპს „თ.ჯ. თრეიდს“ წესდების მე-6 მუხლით განისაზღვრა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა ეკისრებოდა სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც იქმნებოდა პარტნიორების გადაწყვეტილებით. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავდა საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიას. რაც შეეხება სამეტაპიანი კონკურსის ჩატარებას, საქმეში წარმოდგენილია ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, 2005 წლის 28 ივნისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „თ.ჯ. თრეიდს“ შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს „თ.ჯ. თრეიდს“ საკუთრებაში გადასცა, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტი (3550445 ცალი აქცია, რაც შეესაბამება აქციათა საერთო რაოდენობის 51.635%). გასაყიდი ღირებულება შეადგენდა 6 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, რომლიდანაც ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის 600 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში მყიდველმა გადაიხადა. მართალია აღნიშნულ ხელშეკრულებაში არ არის მითითება სამეტაპიანი კონკურსის ჩატარების თაობაზე, თუმცა მას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს დავის საგანთან მიმართებაში, ვინაიდან, დავის საგანია იძულებით გასხვისებული აქციების კვლავ მოსარჩელის სახელზე აღრიცხვა და არა მოსარჩელის მიერ აქციების შეძენის კანონიერება.

მოპასუხის მტკიცებით, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ბადრი წილოსანი ფლობდა ქარხნის აქციების 47%-ს. ასევე არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება, რომ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ ძირითადი დამკვეთი იყო შპს „საქართველოს რკინიგზა“.

სასამართლო განმარტავს, რომ დავის საგანს წარმოადგენს არა ის გარემოება, წარმოადგენდა თუ არა ბადრი წილოსანი ქარხნის კუთვნილი აქციების 47%-ს მესაკუთრეს, არამედ 2008 წლის 17 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის

საფუძველზეც გამყიდველმა შპს „თ.ჯ. თრეიდმა“ მყიდველს ბადრი წილოსანს მიჰყიდა, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ აქციები. ნასყიდობის საგანი იყო 1 775 223 აქცია, რაც შეადგენდა აქციათა საერთო რაოდენობის 25.817895%-ს. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება იყო 1 აშშ დოლარი, სულ ნასყიდობის საგნის - 1775223 აქციის ნომინალური ღირებულება იყო 1775223 აშშ დოლარი.

რაც შეეხება სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანასა“ და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის არსებულ ურთიერთობას, ამ ორი უმსხვილესი საწარმოს დანიშნულებიდან და საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, შპს „საქართველოს რკინიგზა“, როგორც სარკინიგზო-სატრანსპორტო მაგისტრალი, ყოფილიყო სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ დამკვეთი, რადგან ქარხნის საქმიანობის წარმართველ ხაზს წარმოადგენდა სწორედ სარკინიგზო ვაგონების რემონტი და მშენებლობა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- შპს „საქართველოს რკინიგზისადმი“ მიწერილი წერილები (ტომი 1, ს.ფ. 34-59);
- საქართველოს პრემიერ მინისტრისადმი 08.10.2007 წელს მიწერილი წერილი (ტომი 1, ს.ფ. 60-62);
- საქართველოს პრეზიდენტისადმი 09.11.2007 წელს მიწერილი წერილი (ტომი 1, ს.ფ. 63-64);
- მოწმე ავთანდილ საყვარელიძის წერილობითი ახსნა-განმარტება (ტომი 1, ს.ფ. 131-133);
- ნანა რუსიშვილის და ავთანდილ საყვარელიძის ქორწინების მოწმობის ასლი (ტომი 1, ს.ფ. 217);
- მოწმე ბადრი ნიაურის წერილობითი ახსნა-განმარტება (ტომი 1, ს.ფ. 134-135);
- საგადახდო დავალებები (ტომი 1, ს.ფ. 136-137);
- 2008 წლის 17 სექტემბრის შეთანხმება (ტომი 1, ს.ფ. 138-139);
- 2008 წლის 06 ნოემბრის დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ (ტომი 1, ს.ფ. 156-158);
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის ბრძანება (ტომი 1, ს.ფ. 159-160);
- სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი #48 (ტომი 1, ს.ფ. 233-234);
- მოწმე გიორგი ყავლაშვილის წერილობითი ახსნა-განმარტება (ტომი 1, ს.ფ. 284-286);
- სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ განცხადება სარჩელისა და თანდართული მასალების გამოთხოვის თაობაზე (ტომი 1, ს.ფ. 286-287);
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინების ასლი (ტომი 1, ს.ფ. 288-289);
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 02 დეკემბრის ბრძანება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ (ტომი 1, ს.ფ. 363-365);
- შპს „ჯეოსელის“ მიერ წარმოდგენილი სატელეფონო ზარების სია, CD დისკი (ტომი 3, ს.ფ. 68);

- სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ იურიდიული სამსახურის ყოფილი უფროსის ბადრი ნიაურის სატელეფონო ზარების ამონაწერი (ტომი 2, ს.ფ. 385-393);
- საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში“ სატელევიზიო გამოსვლის ვიდეო ჩანაწერი (ტომი 2, ს.ფ. 470);
- 2016 წლის 19 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი, დაბრამაშვილის განმარტება;
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.2.5. მოცემულ საქმეზე ცალკე აღნიშნას საჭიროებს შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ხოლო მოგვიანებით აღნიშნული პიროვნების, ასევე სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ დირექტორის მირიან დეკანოიძისა და მისი მეუღლის, შპს „თ.ჯ. თრეიდის“ აქციების ერთი-ერთი მესაკუთრის ქეთევან ცინცაბაძის ემიგრაციაში წასვლის ფაქტობრივი გარემოებებები.

საქმეში წარმოდგენილია 2008 წლის 06 ნოემბრის დადგენილება ავთანდილ საყვარელიძის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, სადაც მითითებულია, რომ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ მიერ შესყიდული მომსახურების გაუნაღებლობის გამო, სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძის უშუალო ჩარევითა და მითითებით, ზანკებიდან აღებული დიდი ოდენობით სესხებზე სარგებლისა და პირგასამტეხლოს სახით (სარგებლის 18%-იანი და პირგასამტეხლოს 0.12%-იანი განაკვეთიდან გამომდინარე) გაწეული დანახარჯებით, ქარხანამ განიცადა ზიანი 3 355 042 ლარი, მათ შორის სარგებლის სახით 990 408 ლარი და პირგასამტეხლოს სახით 2 364 634 ლარი, თუმცა ავთანდილ საყვარელიძის ბრალეულობა კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არ დადასტურებულა. აქედან გამომდინარე, არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ ავთანდილ საყვარელიძისთვის ბრალის წაყენება წარმოადგენდა მუქარის და დაშინების კიდევ ერთ დამატებით მცდელობას, იძულების პროცესის გაგრძელებას, უკვე სადავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რათა მისი მხრიდან ყველანაირი წინააღმდეგობა ყოფილიყო აღკვეთილი.

იძულების განხორციელების დამადასტურებელი უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებაა ავსტრიის სახელმწიფოს მიერ ავთანდილ საყვარელიძისათვის თავშესაფრის მიცემა, რაზეც მიუთითებს ავთანდილ საყვარელიძის საერთაშორისო მფარველობის შესახებ განაცხადი, ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური თავშესაფრის მიმცემი უწყების გადაწყვეტილება, ავთანდილ საყვარელიძის პირველადი დაკითხვის ოქმი, თავშესაფრის პროცესის ოქმი, 01.09.2009 წლის ოქმი. ამ მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ავთანდილ საყვარელიძეს ავსტრიის სახელმწიფოს მიერ თავშესაფარი მიეცა სწორედ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ აქციების გადაფორმების პროცესში მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული იძულებისა და მუქარის გამო, რაც ხორციელდებოდა ქვეყნის მაშინდელი თავდაცვის მინისტრის დავალებით და ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნების მიერ თავდაცვის

მინისტრის მითითებების შესრულებით.

რაც შეეხება შპს „თ.ჯ. თრეიდის“ აქციების ერთი-ერთი მესაკუთრე ქეთევან ცინცაბაძისა და მისი მეუღლის კომპანიის ყოფილი დირექტორის მირიან დეკანოიძისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ თავშესაფრის მიცემის საკითხს, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სადავოდ არ გამხდარა, შესაბამისად, მიუხედავად პირდაპირი მტკიცებულების არქონისა, სასამართლო ამ ფაქტობრივ გარემოებას დადგენილად მიიჩნევს. საწინააღმდეგო გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ არსებობს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ავთანდილ საყვარელიძის საერთაშორისო მფარველობის შესახებ განაცხადი (ტომი 2, ს.ფ. 411-418);
- ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური თავშესაფრის მიმცემი უწყების გადაწყვეტილება (ტომი 2, ს.ფ. 419-426);
- პირველადი დაკითხვის ოქმი (ტომი 2, ს.ფ. 427-436);
- თავშესაფრის პროცესის ოქმი (ტომი 2, ს.ფ. 437-450);
- 01.09.2009 წლის ოქმი (ტომი 2, ს.ფ. 451-460);

სამოტივაციო ნაწილი:

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიაჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს - ბათილად უნდა იქნეს ცნობილი 2008 წლის 17 სექტემბრის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება და სადავო აქციები აღირიცხოს მოსარჩელე შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სახელზე.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი;
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 105-ე, 201-ე მუხლები;
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე, 89-ე, 138-3, 139-ე, 140-ე, 170-ე, 172-ე, 408-ე, 992-ე, 998-ე, 1008-ე მუხლები.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის

სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ # ას 15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; შდრ. სუსგ საქმე #ას-973-1208-04).

სასამართლო განმარტავს, რომ ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს (სს „ელექტროვაგონშემკვეთებელი ქარხნის“ აქციებზე საკუთრების უფლების აღდგენა/დაბრუნება), ამ უკანასკნელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე („პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“) და 408.1-ე (“იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“) მუხლების შემადგენლობიდან გამომდინარეობს.

დელიქტურ სამართალში მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი სსკ-ის 992-ე მუხლია, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივი შედეგი (ზიანის ანაზღაურების ვალდებულება) ქმედების აბსტრაქტული შემადგენლობიდან (სხვა პირის მიმართ განხორციელებული ქმედება) გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში ზიანი სახეზეა და ის გამოწვეულია მოსარჩელის საკუთრების ხელყოფით, რასაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევს სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ოთხივე წინაპირობის არსებობის კონტექსტში (მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალეულობა, ზიანი და მიზეზ-შედეგობრიობა).

მოსარჩელემ, როგორც სარჩელში, ისე სასამართლო განხილვის დროს დაწვრილებით აღწერა მასზე განხორციელებული იძულება და ნების გამოვლენაში აშკარა და უხეში ჩარევის შედეგად მოსარჩელის „უპირობოდ დაცული ფასეულობის“, საკუთრების ხელყოფის გარემოებები. საკუთრება დაცული სიკეთეა („ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში“, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი), შესაბამისად, დაუშვებელია მისი ჩამორთმევა, ასევე სხვაგვარი ხელყოფა, თუ არ არსებობს გამამართლებელი გარემოებები (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე ნაწილი, სსკ-ის 116-118-ე მუხლები). ამ უფლების ხელმყოფი ნებისმიერი მოქმედება თავისთავად მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა, თუ

გამონაკლისის სახით არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება და ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ზიანის მიმყენებელს აწევს.

6.2. სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მტკიცების ტვირთის სწორად გამიჯვნის და განაწილების შემთხვევაში სასამართლოს შესაძლებლობა ექნება განსაზღვროს სსკ-ის 992-ე და 408-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წანამძღვრები და სარჩელის საფუძვლიანობასთან მიმართებით შესაბამისი სამართლებრივი დასკვნებიც გამოიტანოს. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტების მითითებასა და მტკიცების ტვირთს შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთკავშირია, უფრო მეტიც, როგორც წესი, ისინი ერთმანეთსაც ფარავენ, მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა აუცილებელია, რადგანაც უმეტესწილად სწორედ ასეთი გამიჯვნა პასუხობს იმას, თუ ვის აწევს, ან ვისზე გადადის მტკიცების ტვირთი. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს მიდგომა შემდეგია: „სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების საგანს შეადგენენ ის გარემოებები, რომლებსაც პროცესუალურ სამართალურთიერთობებში წარმოადგენენ სამართლებრივი ფაქტები. მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და მტკიცების საგნის განსაზღვრას ახასიათებს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რადგანაც სასამართლოში ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრული ფაქტების დადგენასთან. სწორედ ამიტომ მტკიცების საგანს პროცესუალურ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა. ასეთივე პრინციპული მნიშვნელობის მქონეა პროცესუალური საკითხი მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ...საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებობს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური და ზოგადი წესები. ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების წესები ჩამოყალიბებულია მატერიალურსამართლებრივ ნორმებში და გამოხატულია იმპერატიული ფორმით. მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ საგამონაკლისო შემთხვევებში, ფაქტების მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს. ეს ის საგამონაკლისო შემთხვევებია, როდესაც სამართალწარმოება ძირითადად მოწინააღმდეგე მხარის მტკიცების ტვირთი უნდა იყოს“ (იხ. სუსგ - # ას1020-963-2015, 25.11.2015წ.; შდრ.ასევე სუსგ-ები # ას-522-495-2014, 05.06.2015წ. და #ას-1024-982-2014, 28.09.2015წ.).

6.3. სასამართლოს შეფასებით, პირის იძულება, ნების საწინააღმდეგოდ დათმოს საკუთრება მესამე პირის/პირების სასარგებლოდ, თავისი ხასიათით, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვინაიდან ასეთი ქმედება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლითა და სსკ-ის 170-ე მუხლით გარანტირებულ მესაკუთრის უფლებას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას.

მოსარჩელე შპს „თ.ჯ. თრეიდის“ წარმომადგენლების განმარტებით, 2008 წლის 17 სექტემბრის გარიგების დადების დროს იძულება (მუქარა) მომდინარეობდა მესამე პირებისაგან (სახელმწიფოს ყოფილი მაღალჩინოსნები) და იძულების ადრესატები

იყვნენ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე და მისი ოჯახის წევრები, შპს „თ.ჯ. თრეიდის“ მეწილეები - ნანა რუსიშვილი და ქეთევან ცინცაბაძე და ასევე ქეთევან ცინცაბაძის მეუღლე მირიან დეკანოიძე (სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ ყოფილი დირექტორი), რამაც აღნიშნულ პირებს აფიქრებინა, რომ საფრთხე რეალური და მომავალში განხორციელებადი შეიძლება ყოფილიყო, რასაც შედეგად, როგორც მათი პიროვნების, ისე ოჯახის, ასევე ქონებისათვის ზიანის მიყენება მოჰყვებოდა.

მოწმეთა ჩვენების თანახმად, იძულების განხორციელების პროცესში ჩართული იყო ფინანსური პოლიცია, იძულება ხორციელდებოდა აღნიშნული სამსახურის თანამდებობის პირების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ, როგორც ქვეყნის მაშინდელი თავდაცვის მინისტრის ინტერესების გამტარებლები და მისი მითითებების უშუალო შემსრულებლები. მუქარას, რომელიც ხორციელდებოდა ზემოაღნიშნული პირების - შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ავთანდილ საყვარელიძისა და სხვათა მიმართ, რეალურ სახეს აძლევდა ის გარემოება, რომ აქციებით დაინტერესებული ფიზიკური პირის ბადრი წილოსანის უკან იდგა ძალოვანი სტრუქტურა, ფინანსური პოლიცია, სადაც სისტემატურად იბარებდნენ დასახელებულ პირებს. აღნიშნულ სამსახურში, შესაბამისი თანამდებობის პირების კაბინეტებში ხორციელდებოდა ზეწოლა, დამუქრება ოჯახის წევრების სიცოცხლით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდებოდა სადავო აქციების მოპასუხე ბადრი წილოსანის სახელზე გადაფორმება. როგორც აღინიშნა, მუქარის რეალურობის და იძულების არსებობის ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს, აქციების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგი მოვლენებიც. შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე, შპს „თ.ჯ. თრეიდის“ აქციების 50%-იანი წილის მესაკუთრე ქეთევან ცინცაბაძე და მისი მეუღლე, მირიან დეკანოიძე ემიგრაციაში წავიდნენ და სხვა სახელმწიფოებში მიიღეს თავშესაფარი - ავთანდილ საყვარელიძეს ავსტრიის სახელმწიფომ მისცა თავშესაფარი, ხოლო ქეთევან ცინცაბაძესა და მირიან დეკანოიძეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. აღნიშნული პირები წლების განმავლობაში ვერ ბრუნდებოდნენ სამშობლოში. ავთანდილ საყვარელიძის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მას დაუსწრებლად შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების სახე - პატიმრობა. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი არ არსებობს, რაც ა.საყვარელიძის ბრალეულობას დაადასტურებდა.

მოსარჩელე მხარის მტკიცებით, რასაც სასამართლოც იზიარებს, შპს „თ.ჯ. თრეიდის“ მეწილეებისა და ხელმძღვანელი პირების მიმართ განხორციელებულ იძულებას ადასტურებს ისეთი საჯარო ფაქტი, როგორიცაა შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძისთვის ავსტრიის სახელმწიფოს მიერ თავშესაფრის მინიჭება.

მოსარჩელე ასევე მიუთითებს მოპასუხის მონაწილეობაზე იძულებაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ სადავო გარიგება ფორმალურად დაიდო და მის გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი თანხმდებოდა მოპასუხე ბადრი წილოსანის

ინტერესების გათვალისწინებით, რათა მოპასუხეს კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსი ჰქონოდა და წილი ნატურით არ დაებრუნებინა.

სასამართლო თვლის, რომ მოპასუხემ პასუხი უნდა აგოს მოსარჩელის წინაშე, რადგან დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი ოთხივე ელემენტი სახეზეა: ა) მოსარჩელის წინააღმდეგ მესამე პირების მიერ განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედება - უპირობოდ დაცული ფასეულობის, საკუთრების უფლების ხელყოფა; ბ) ბრალეულობა - მოპასუხემ შეგნებულად, სადავო გარიგების გაცნობიერებულად დადებით, ხელი შეუწყო მოსარჩელეთა საკუთრების უფლების ხელყოფას; გ) ზიანი - მესაკუთრემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა, დაკარგა აქციებით სარგებლობის, ფლობისა და განკარგვის უფლება; დ) მიზეზ-შედეგობრიობა - მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია მოპასუხის ქმედების შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოკვეთილია სსკ-ის 998-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაც, რადგან ზიანის მიყენება შესაძლებელი გახდა სადავო გარიგების დადებაში ყველა პირის, მათ შორის, მოპასუხის მონაწილეობით.

სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა), ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ქარხნის აქციებზე უფლების აღდგენა (დაბრუნება) შესაძლებელია.

6.4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება.

მოპასუხე - ბადრი წილოსანი არ შედავებია მოსარჩელის მიერ მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებას, მაგალითად, იმას, რომ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ მეწილე ქეთევან ცინცაბაძე და მისი მეუღლე მირიან დეკანოიძე იძულებული გახდნენ სადავო გარიგების დადებიდან მალევე, რამდენიმე დღეში გაქცეულიყვნენ ქვეყნიდან და თურქეთის გავლით გაფრენილიყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოპასუხის მიერ ასევე სადავო არ გამხდარა ზემოაღნიშნული პირების მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისგან თავშესაფრის მიღებისა და შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძის მიერ 2013 წლის მაისში საქართველოს პროკურატურისთვის განცხადებით მიმართვის ფაქტი.

მოპასუხე ბადრი წილოსანს კვალიფიციური შედაგება არ წარუდგენია მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, ანუ მას მოსარჩელის მოხსენების (განმარტების) გასაბათილებლად არ შეუთავაზებია სასამართლოსათვის მოვლენების განვითარების მისეული განსხვავებული ვერსია, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოდ გახდიდა მოსარჩელის განმარტებას. მისი შედაგება შემოიფარგლა ძირითადად იმაზე მითითებით, რომ სადავო გარიგება ნოტარიული წესით დამოწმდა, წილის გასხვისებაზე თანხმობა განაცხადეს მოსარჩელე შპს „თ.ჯ. თრეიდის“ მეწილეებმა, ნასყიდობის ფასი იყო გონივრული - საბაზრო ფასების შესაბამისი, მოსარჩელე კომპანიას გააჩნდა შესასრულებელი სოლიდური ფინანსური ვალდებულებები, რაც ისეთი ხასიათის შედაგებაა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ვერ აბათილებს მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და არ ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან აქციების გასხვისების თავისუფალ ნებას .

სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ იმის დადგენა, შეესაბამებოდა თუ არა სადავო გარიგებაში მითითებული აქციების ფასი მათ რეალურ საბაზრო ღირებულებას, ანუ იკვეთებოდა თუ არა აშკარა დისპროპორცია, შესაბამისი წინაპირობების მხედველობაში მიუღებლად, სამართლებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ვერ იქნება და, აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და დეტალური კვლევა, არც მატერიალური და არც პროცესუალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის.

ამრიგად, მოსარჩელის მიერ მითითებული და მოპასუხის მიერ არაკვალიფიციურად შედაგებული გარემოებები სამართლებრივად ქმნიან იმის პრეზუმფციას, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება შეილახა იძულების გზით. პრეზუმირებული ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომელთა გაქარწყლების ტვირთი მოპასუხეს აწევს. ბადრი წილოსანის შესაგებელი კი ამ ფაქტებს ვერ აბათილებს.

6.5. სასამართლო განმარტავს, რომ იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დაასკვნა: „სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს“ (იხ.სუსგ #ას-89-83-2015, 23.10.2015 წელი).

6.6. განსახილველი დავა ეხება იძულებით დადებული საცილო გარიგებების ბათილობას, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, განხორციელებულია თუ არა სსკ-ის 85-89-ე მუხლების წინაპირობები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის მიხედვით, გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან. ამდენად, საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ გარიგება დადებულია მხოლოდ

იძულების წყალობით. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებასთან, სადაც ნების თავისუფლება აშკარად არის ხელყოფილი. ამ დროს ადგილი აქვს დაზარალებულის თავისუფალი ნების აშკარა შელახვას.

მოპასუხეს მიაჩნია, რომ მოსარჩელემ გაუშვა შეცილებისათვის სსკ-ის 89-ე მუხლით დადგენილი სპეციალური ვადა, რაც, მისი მტკიცებით, გამორიცხავს სადავო გარიგებით მიღებული იურიდიული შედეგის უკუქცევას.

სასამართლომ შეამოწმა მოსარჩელის მიერ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განხორციელების საკითხიც. სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ იძულება სულ მცირე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მაინც გრძელდებოდა, ვინაიდან შპს „თ.ჯ. თრეიდის“ ხელმძღვანელი პირები იმყოფებოდნენ ემიგრაციაში, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე იმყოფებოდა ავსტრიის სახელმწიფოში, ხოლო წილის მფლობელი ქეთევან ცინცაბაძე და კომპანიის დირექტორი მირიან დეკანოიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დღემდე ცხოვრობენ და მუშაობენ. რაც შეეხება ავთანდილ საყვარელიძეს, მან ქვეყანაში დაბრუნება შეძლო სწორედ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შემდეგ და ჩამოსვლის შემდეგ მიმართა კიდევ საქართველოს პროკურატურას 2013 წლის მაისში (იხ. ტომი II, ს.ფ. 160).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლით იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან. საქართველოს პროკურატურაში 2013 წლის მაისში წარდგენილი საჩივრით მოსარჩელე შეეცილა იმ სადავო გარიგების ნამდვილობას, რამაც განაპირობა სს „ელექტროვაგონშემკვეთებელ ქარხანაში“ წილების გასხვისება. იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად: „შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც.“

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელემ განახორციელა ნამდვილი შეცილება, სადავო გარიგებები ბათილია მათი დადების მომენტიდან, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ: „თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე, მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ, როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც...“, „იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“, „...შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც“ .

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს.

სასამართლო არ იზიარებს მოპასუხის პრეტენზიას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა 2013 წლის მაისიდან სსკ-ის 1008-ე მუხლის („დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა პირმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ“) საფუძველზე შეწყდა, ვინაიდან მოსარჩელემ თავისი დარღვეული უფლების დასაცავად მიმართა იმ სახელმწიფო ორგანოს (პროკურატურას), რომელსაც ხელეწიფებოდა ამ უფლების აღდგენა (სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე წინადადება- „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები“). მოსარჩელე შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძემ, როგორც უფლებამოსილმა პირმა, 2013 წლის მაისში საქართველოს პროკურატურას საჩივრით მიმართა იძულებით ჩამორთმეული ქონების გამო, საკუთრების ხელყოფილი უფლების დასაცავად, რაც სამართლებრივად ვარგისი საშუალებაა. შესაბამისად, ამ განცხადებით, სარჩელის სასამართლოში შეტანამდე (2014 წლის 19 აგვისტო), უკვე შეწყვეტილი იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა.

6.7. სასამართლო ქარხნის აქციებზე საკუთრების უფლების აღდგენის (დაბრუნების) თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნას სანივთო სამართლის ნორმების გამოყენებითაც შესაძლებლად მიიჩნევს. მხედველობაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის განვრცობითი განმარტების შედეგად მოსარჩელის კუთვნილი წილების უკანონო მფლობელებისაგან ვინდიცირება (გამოთხოვა) შესაძლებელია, რადგან 2008 წლის 17 სექტემბერს იძულებით დადებული გარიგების საფუძველზე მას არ დაუკარგავს წილებზე საკუთრება და ის საქმის განხილვის დროსაც მესაკუთრედ რჩება. ამასთან, სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების წინაპირობას, საცილო გარიგებებთან მიმართებით, წარმოადგენს კანონით დადგენილი შეცილების სპეციალური ვადის დაცვა.

საკუთრება კანონიერია და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სფეროში შედის, თუ მისი შეძენა მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. საკუთრების განკარგვის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის

თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას.

გარიგების (ხელშეკრულების) ბათილობისას, სასამართლოს წინაშე დგება უკვე განხორციელებული შესრულების უკუქცევის საკითხი, ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა-რესტიტუცია. განსახილველ შემთხვევაში, აქციების შემძენზე საკუთრება არ გადასულა, რადგანაც ნამდვილი შეთანხმება არ არსებობდა.

სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ურთიერთობის შინაარსისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, იძულების ფაქტი ერთმნიშვნელოვნად დადგენილ გარემოებას წარმოადგენს. სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვისას ჩამოყალიბებული შინაგანი რწმენა წარმოადგენს, მოსამართლის მიერ საქმის თითოეული დეტალის თუ ნიუანსის ღრმად გააზრებული ანალიზის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას, რაც შემდგომ ასახვას პოვებს სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში. ის ფაქტი, რომ იძულება განხორციელდა, მხარის არგუმენტირებული შედავების პირობებში, წარმოშობს იძულების განხორციელებამდე არსებული, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის გარდუვალობას, რაც ზემოაღნიშნული სამართლებრივი მექანიზმებით დაცულ უფლებას წარმოადგენს.

სასამართლო, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვისა და გამოკვლევის, ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მათი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, მიიჩნევს, რომ შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სარჩელი საფუძვლიანი და დასაბუთებულია.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ვინაიდან, შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ბადრი წილოსანს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს, მოსარჩელის მიერ სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 5000 ლარისა და სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 150 ლარის გადახდა.

8. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები

სასამართლომ 2014 წლის 26 აგვისტოს განჩინებით, შპს „თ.ჯ. თრეიდი“-ს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო ბადრი წილოსანის (პ/№01007001156)

საკუთრებაში არსებულ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ (ს/კ 200010861) აქციების 51.635%-ს.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ საქმის მოსამზადებელ ეტაპზე სასარჩელო მოთხოვნა შეამცირა, მოცემულ საქმეზე ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ბადრი წილოსანის (პ/№01007001156) საკუთრებაში არსებული სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ (ს/კ 200010861) დაყადაღებული აქციების 51.635 % -დან ყადაღა უნდა მოეხსნას მხოლოდ 25.817881 % -ს, აქციების დანარჩენ ნაწილზე ყადაღა უნდა დარჩეს ძალაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 259¹-ე, 369-ე მუხლებით და

გადაწყვიტა :

1. შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სარჩელი ბადრი წილოსანის მიმართ 2008 წლის 17 სექტემბრის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და აქციების შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სახელზე აღრიცხვის შესახებ დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი შპს „თ.ჯ. თრეიდის“ და ბადრი წილოსანს შორის 2008 წლის 17 სექტემბერს დადებული აქციების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება (რეგისტრირებული სანოტარო აქტების საერთო რეესტრში #1-1045) და ბადრი წილოსანის (პ/№01007001156) საკუთრებაში არსებული სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ (ს/კ 200010861) აქციების 25.817895 % -ის მესაკუთრედ აღირიცხოს შპს „თ.ჯ. თრეიდი“.
3. მოპასუხე ბადრი წილოსანს მოსარჩელე შპს „თ.ჯ. თრეიდის“ სასარგებლოდ დაეკისროს, მოსარჩელის მიერ სარჩელზე და სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - **5150** ლარის გადახდა.
4. მოცემულ საქმეზე ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ბადრი წილოსანის (პ/№01007001156) საკუთრებაში არსებული სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ (ს/კ 200010861) დაყადაღებული აქციების 51.635 % - დან ყადაღა მოეხსნას მხოლოდ 25.817881 % -ს, აქციების დანარჩენ ნაწილზე ყადაღა დარჩეს ძალაში.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა კოლეგიის მეშვეობით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით .

6. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე

ლია ავალიშვილი